კვირა. 31 ივლისი 1927 წ. № 111 ფასი სამი შაური

# ტარტაროზი

სურ. ტამატაძის



50 მანეთი ამ სურათზე უკეთესი წარწერისათვის.

კონკურსის პირობები იხ. მე-15-ე გვერდზე.

# დაპირება

პირველი ჩვენი შეხვედრა სავსე იყო დრამატიზმით. მოხდა იგი შემდეგ გარემოების დროს:

მე მივრბოდი ტროტუარზე, რომ გასაჩერებელთან ტრამვაის ვაგონისთვის მიმესწრო. ასეთ შემთხვევაში ყოველი წუთი მარგალიტივით ძვირფასია, რადგან ჯერ არ დაბადებულა კაცი თბილისში, რომელმაც დახლოვებით მაინც იცოდეს როდის გამოივლის მისთვის საჭირო ნომერი.

ვინ იცის, რამდენ სულიერ მღელვარებას ჰქონია ადგილი ამ ნიადაგზე.

მე ვიცნობდი ადამიანს, რომელმაც ტფილისში თავის ხანმკლე ცხოვრების მიზნად დაისახა ამ უცნაურ მოვლენის გამოკვლევა, მაგრამ ისე დასტოვა თბილისი, რომ საიდუმლობას ერთი წუთითაც არ ახდია ფარდა. პირიქით, საიდუმლოება კიდევ უფრო მიუწვდომი გახდა.

რა გზას არ მიმართა მან, რომ ცალი თვალით მაინც შეეჭვრიტა ნისლით დაფარულ საიდუმლოების წიაღში, მაგრამ ყველაფერ ამაო იყო.

საკუთარ თვალებით მინახავს, როგორ იდგა ის ხშირად რუსთაველის პროსპექტზე უბისწიგნით ხელში და ერთ რომელიმე მიმართულებისაკენ მიმავალ ვაგონების ნომრებს იწერდა წიგნაკში, შემდეგ ის იწერდა უკან დაბრუნებულ ვაგონების ნომრებს და, არასოდეს ეს ნომრები არ ემორჩილებოდენ წიგნაკში ჩაწერილ რიგს.

მაშინ მას აზრი შეეპარა, იქნებ გზაში ცვლიან ნომრებსო და ხერხს მიმართა.

ჩაწერილ ნომრების ნაცვლად, მან დაიწყო ვაგონების მოკლე აღწერის ჩაწერა კონდუქტორ - ვატმანითურთ.

ის ცდილობდა, რაც შეიძლება მოკლე და სხარტი ყოფილიყო ეს აღწერა.

მაგალითად:

**ვაგონი № 1.** ფერი გამოურკვეველი. პირველი შეხედვით ნესვის ფერის. დაკვირვების შემდეგ ვერის დალმარიის ტლაპოსი, როცა მიდის, ყოველ თითო საჟენის გავლის შემდეგ ისე ხტება, როგორც ბეღურა. ვატმანი გაბუერძგვნილი. კონდუქტორიც ასეთივე.

**ვაგონი № 5.** ფერი ჯერ არ ნახული. ეტყობა როდისღაც ყვითელი ყოფილა. შეიძლება მწვანე, შეიძლება წითელიც. პრიჭინობს ცუდათ შეკრულ ტახტივით. ვატმანი არ სჩანს. მგზავრებში თუა ჩამალული. კონდუქტორი ფეხით მისდევს ვაგონს უკან, ვაგონში უადგილობის გამო, ან და „პრიგუნების“ უფრო იოლად დასაჭერად.

და სხვა...

მაგრამ არც ამ ხერხმა გასჭრა. სადაც, ჩვეულებრივ ადამიანის გონების მიერ მიუწვდომელ ადგილას, ვაგონები თითქოს ახტებოდენ ერთმანეთს. და ძირშივე ანადგურებდენ დაკვირვებებს.

ასე გაგრძელდა ერთ თვეს.

ბოლოს და ბოლოს ეს ცნობისმოყვარე ადამიანი იძულებული გახდა ნაადრევად დაეტოვებია თბილისი, რომ ჭკუაზე არ შერყეულიყო. მაგრამ საეჭვოა, რომ ის ეხლა ნორმალური ადამიანი იყოს.

როგორც ხმები დადის, ის დღეს თურმე დიდ მეცნიერულ ლაბორატორიულ მუშაობას აწარმოებს, რომ როგორმე გამოარკვიოს ტფილისის ტრამვაის საიდუმლოება.

მაშასადამე, მე მივრბოდი ტროტუარზე, ვაგონი კი უკვე გასაჩერებელს უახლოვდებოდა.

მე უკვე თითქმის მიზანთან ვიყავი, როდესაც უეცრად გზა გადამღობა ვიღაც მოქალაქემ და შემაჩერა:

— შეიძლება ორიოდე სიტყვა გითხრათ...

— დიახ! — მე ისე გაქცევას ვაპირებდი, მაგრამ უკვე გვიან იყო. ვაგონი ჩაიძრა დასანატრელი ნომერიც მალე მიიმალა მოსახვევში.

მე და მოქალაქე ერთმანეთს მივჩერებოდით.

სულიერ მდგომარეობის შესახებ კომენტარიები ზედმეტია.

— მე ბევრს არ გაგაჩერებთ! — თქვა კიდევ მოქალაქემ



— თქვენ იცით... ეხლა ისედაც გაჩერებული ვარ...

— უპიროველეს ყოვლისა, მე გთხოვთ..., გულის სიღრმიდან გთხოვთ, ნუ გამოხატავთ თქვენ სახეზე ზიზღს ან სიძულვილს... ნუ გათელავთ ფეხ ქვეშ ისედაც მიწასთან გასწორებულ თავმოყვარეობას .. იცოდეთ, რომ თქვენს წინ დგას ცხოვრების და ღუხჭირ გარემოებათა მსხვერპლი. მსხვერპლი, რომელიც ყველგან ელის ეხლა ხსნას... მე დარწმუნებული ვარ, რომ თქვენც გამოგიცდიათ როდისმე უსახლკარობა და სიმშილი... სიმშილი და წყურვილი.. ვინ იცის, იქნებ ის საბრალო პიროვნება, რომელიც თქვენს წინაშე დგას ეხლა, როდესღაც ლაღი იყო ცხოვრების... ფართო საზოგადოებისაგან პატივცემული... მაგრამ სოციალურმა არევ-დარევამ დასცა ის ქვევით, გასთელა შეუბრალებლად... და ეხლა მას იმის საშუალებაც კი არ აქვს მარტო ხმელი პურით მოიკლას ორი დღის სიმშილი... მე მივმართავ თქვენს კეთილშობილ გრძნობებს, მაგრამ თუ კი ვცდები და ჩემს წინაშე დგას ისეთივე გაჭირვებული, როგორც მე... ო, აპატიეთ მაშინ თავხედს... იგი არ დაცემულა ჯერ კიდევ ისე, რომ:::

რამდენი გულწრფელობა და გამოუთქმელი ტანჯვა იყო ამ სიტყვებში: მე მრცხვენოდა, რომ არ მქონდა იმ ერთ შაურზე მეტი, რომელიც ტრამვაისთვის მქონდა ჩამალული ხელში.

მოქალაქის თვალები კი სასოებით მომჩერებოდენ.

მე უხერხულად გაუწოდე მას ეს უკანასკნელი შაური და სირცხვილისაგან განადგურებული ჩქარი ნაბიჯით განვშორდი მას.

მუდამ ასე ხდება. როცა გინდა, არასოდეს არ გაქვს ფული, როცა არ გინდა კი... არც მაშინა გაქვს.

სწორედ ამ დროს ჩამოიარა ისევ საჭირო ნომერმა, მაგრამ ჩემი შაური უკვე სხვის ჯიბეში იყო (ღმერთმა შეარგოს) და ფეხით გაუდექი გზას.

უკნიდან კიდევ ისმოდა წყნარი, მწუხარებით სავსე ხმა. ეს ალბათ გაჭირვებული მოქალაქე ეხლა სხვას უყვებოდა თავისს გაჭირვებას.

— ისე ადგა შენი გვერდები!.. დაიკარგე აქედან!..

ასეთი იყო ხეპრე ადამიანის პასუხი და მე გავწითლდი მის ნაცვლად. რამდენად ველურია ადამიანი კიდევ...

შემდეგ მე ვნახე იგი ისეთ მდგომარეობაში, რომ ჩანთო-ლინდაც კი აეწვებოდა გული.

იგი ძლივს იდგა სამიკიტნოს წინ ფეხებზე. სახე წამოწითლებოდა. ალბად ჩემი დანახვის თუ შერცხვა. მე ათშაურიანი გაუწოდე მას. ამ თანხამ იგი ისე გაახარა, რომ ენის მობრუნებაც კი ვერ მოახერხა მადლობის სათქმელად. ამის შემდეგ მე ხშირად ვხდებოდი მას. და ჩემი გავლენის ქვეშ მხოლოდ ორი ასოთი შეიცვალა მისი მსოფლმხედველობა.

თუ აქამდის ითხოვდა, ეხლა მოითხოვდა.

საგულისხმიერო იყო ერთი შეხვედრა.

მე სასადილოდან გამოვედი ნასადილევი.

# თავისებურად გაიგო

სურ. დონის




მილიციელი (ქურდს): სად მიძვრები შენ ქურდო, შენა!
ქურდი: ვაჰხ! ერთი ამას უყურე და?! ვერა ხედავ აი აქ რა სწერია? მეცგადავდივარ რალა?



იგი უკვე კარებთან მელოდებოდა.

— ყმაწვილო, რას შვებით ამდენხანს. ერთი საათია რაც აქ მაყურყუტებთ!..

— მერე ვინ გეხვეწებოდათ!.. დამანებეთ თავი!..

ჰოა.. უკაცრავად... ბოდიშ ვიხდი... მე კინალამ დამავიწყდა, რომ რა იცის მაძღარმა კუჭმა მშიერი კუჭის გულისწუხილი... უკაცრავად... უკაცრავად::: ყველა თავისთავზე ფიქრობს::: მწვანილი:;; ხილი,,, ორი ბოთლი ლუდი... კვარტი ღვინო... ლიმონადი::: დიახ, ამის შემდეგ, რა თქმა უნდა, თქვენთვის გაუგებარი იქნება სხვისი მუცლის გაფუჭება...

იგი აღშფოთებულ საუბრით მომყვებოდა გვერდში. მან შეუბრალებლად ჩამოთვალა ყველა საჭმელები აზიური და ევროპიული, რომელთა უმეტესს წილის არსებობა მე მხოლოდ ყურმოკვრით ვიცოდი... ყველა ხარისხის და ნომრის ღვინოები... და საერთოდ ყველაფერი ის, რისიც ჭამა და დალევა შეიძლებოდა... და ყველაფერ ამას მე მივირთმევდი თურმე, ის კი მშიერი დატანტალობდა ქუჩაში

იგი ბინის კარებამდე მომყვა.

ლიდი ხნის მოლაპარაკების შემდეგ, როგორც იქნა, დათანხმდა სამ შაურის მიღებაზე (შაურზე და ორ შაურზე უარი სთქვა).

მეორე დღეს უკვე ალიონზე მიკაკუნებდა კარებზე და მოითხოვდა, სანამ ათ შაურს არ ვაჩუქებ, მანამდე განაგრძობს კაკუნს და გაიმეორებს ამას ყოველ დილას 5 საათიდან 8 საათამდე. და თუ ესეც არ გასჭრის, ოთხ საათზედაც შესძლებს მოვალეობის ასრულების დაწყებას.

ფულის უქონლობის გამო, მე ძველი შარვალი შევაძლიე მას, მაგრამ მან კატეგორიული უარი განაცხადა კმაყოფილ ნატურით მიღებაზე და შემპირდა მეორე დღეს შემოვლას.

მეც შევპირდი, რომ თუ კიდევ შემოდგამს ფეხს კიბეზე. პირდაპირ წინაპრებისაკენ მოუხდება გამგზავრება.

იგი წავიდა. მაგრამ დარწმუნებული ვარ, რომ შეასრულებს თავის დაპირებას და ხვალ დილას ისევ აქ იქნება.

და მაშინ მეც რომ შევასრულო დაპირება. შეასრულებს გაზეთებში გამოცხადებულ დაპირებას დაპირების გამომცხადებელი?

ხინემატი.

# ხელოვნური კბილები

ძაღლიც არის და ძაღლიც. ძაღლს გააჩნია. ზოგიერთი ისეთია, რომ კეცზე დაკრულ მჭადს არეკს და უსადილოთ დაგტოვებს. ზოგი ისეთიცაა, რომ სხვისას ქათამს მოიპარავს და სახლში მოგიტანს.

არის ძაღლი, რომელიც მისდევს. ასეთ ძაღლს მწევარს ეძახიან. არის ისეთიც, რომელსაც თბილისელი ჯენტლემენები ლოგინში აწვენენ. ძაღლი შეიძლება იყოს წუნკალი, წუპაკი, ქოფაკი, ქეციანი, შემპარავი და სხვ.

ჩაღლი შეიძლება იყოს მეძებარიც.

აი, ასეთმა ძაღლმა—მეძებარმა ძაღლმა დალუპა მსახიობი კაკო. ძაღლმა,—ისიც მეძებარმა ძაღლმა არ დააფასა კაკოს ოცდათი წლის მოღვაწეობა პროვინციის ქალაქის სცენაზე, სცენის გარშემო, კულისებში, საბილეთო კასაში და სხვა ადგილებში და... წაიწყმინდა სული.

რასაკვირველია, სულის წაწყმენდა, როგორც ასეთი, დღეს აღარავის სწამს, მაგრამ იმ ძაღლმა მაინც სული წაიწყმიდა.

— კი მაგრამ, ძაღლს რა წაწყმენდდაო,—იკითხავთ.

— კბილები,

— ვისი?

— მსახიობ კაკოს?

— საიდან?

— სასადილოდან.

ცნობილია, რომ პროვინციალური ქალაქი დედაქალაქს არ გავს. ცნობილია ისიც, რომ პროვინციალურ ქალაქის თეატრი დედა ქალაქის თეატრზე ბევრად მცირეა. ისიც ცნობილია, რომ პროვინციალურ ქალაქის მსახიობის ხელფასი გაცილებით მცირეა დედაქალაქის მსახობის ხელფასზე, თუნდაც ორივე პროფკავშირის წევრიც იყოს, თურმე სულ ერთია, ამას არავითარი მნიშვნელობა არა აქვს.

ამიტომაც იყო, რომ პროვინციელ მსახიობ კაკოს ბიუჯეტი მეტად დეფეციტიანი იყო და დოტაციაზე ხომ ლაპარაკიც არ შეიძლებოდა. ამავე დროს, ნუ დაგავიწყდებათ, რომ კაკოს თითქმის სამოცი წელი შეუსრულდა და სხვათა შორის ოციოდე კბილი დააკლდა.

რასაკვირველია, კაკოს ხელფასით არავითარი კბილის ჩადგმა არ შეიძლებოდა.

ამიტომ კაკომ გადასწყვიტა გაემართა ბენეფისი და ხუთიოდე კბილის ჩასადგმელი ფული მოეგროვებია.

საბენეფისო წარმოდგენაზე ორმოციოდე მოქალაქე გამოცხადდა, რომელთაც წინდაწინ ხვეწნა მუდარით აყიდვინეს ბილეთები.

წარმოდგენიდან კაკოს ოთხი თუმანი დარჩა, რომლითაც მან ოთხი ხელოვნური კბილი გაიკეთა.

— ხომ არ ამოვარდება? — კრძალვით შეეკითხა იგი კბილის ექიმს.

— თუ შენით ამოიღებ, თორემ თავისით—არა.

— მე შემიძლია ამოვიღო და ისევ გავიკეთო?

— როდესაც გინდა.

კაკო გახარებული წამოვიდა.

— რა ქენი? — შეეკითხენ მას ამხანაგები.

— ჩავიდგი...

— რამდენი?

— ოთხი.

— გვაჩვენე?

— მოიცათ, რა გაჩვენოთ... კბილია, ტანკა ხომ არ არის...—მოიგერია ამხანაგები კაკომ:

— აბა მაღარიჩი შენზეა...

— თავი დამანებეთ, ფული არ მაქვს.

— ფული არ გაქვს. გენდობიან.

წავიდენ.

— აბა, თომა, დაგვისხი.

მიკიტანმა ეჭვით ჩაათვალიერა მსახობები, მან იცოდა, რომ არც ერთს გახვრეტილი გროში არ გააჩნდა.

— კარგა ბევრი შეგროვდა ნისია!

— ნუ გეშინია, ფული არის.

კაკოს მეძებარი ძაღლი სიამოვნებით შეხვდა ამ მოვლენას მან იცოდა, რომ წინამდებარე ქეიფიდან მას ორიოდე ძვალი მოუწევდა. ძვალს კი ხომ იცით, საკმაოდ დიდი მნიშვნელობა აქვს მშიერ კუჭისათვის, თუნდაც ეს კუჭი ძაღლს ეკუთვნოდეს. მსახიობ კაკოს ძაღლს ერთი კვირა იყო „ელოგია“ არ ქონდა მიღებული ამიტომ იგი გვედრით აეტუხა საქეიფოდ დამჯდარ პატრონს.

თამადა ამეტყველდა. ჭიქები დატრიალდა. მიკიტანი დატრიალდა, სამი დღის ხარჩო გააცხელა და სტუმრებს მიართვა.

— ვადღეგრძელოთ მეგობრებო ამ ქეიფის მიზეზი,— ამბობდა იგი. ამ პატარა საქართველოში კაკოს ბადალი მსახიობი იშვიათია. დღეს კაკო არის ჩვენი მასპინძელი, მაგრამ ქეიფის ნამდვილი მიზეზი არის არა კაკო, არამედ მისი კბილები. მაგას რომ კბილები არ ჩაედგა, ეს ქეიფიც არ იქნებოდა... ამიტომ კაკოს კბილებს უსურვოთ ბოლომდე შერჩენოდეთ ღეჭვის უნარი და სიფაქიზე. მართალია, დამზღვევმა კასამ არ ინება პატივი ეცა კაკოსათვის და კბილები ჩაედგა, მაგრამ უკბილოთ კაკო მაინც არ დარჩა და სწორედ ამ კბილების გამოისობით შევიკრიბეთ ამ ჩვენ პატარა საქართველოს შვილები. გაუმარჯოს კაკოს კბილებს ამ კოპწია საქართველოში.

გაისმა ვაშა, ტაში და საათნახევრიანი „მრავალ ჟამიერ“. კაკო ბედნიერად იღიმებოდა და უბის სიღრმეში ობლად მოჩანდა კაკოს ექვსი ნუგეში—ექვსი კბილი. კაკოს მეძებარი ცქმუტავდა და გადმოყრილ ძვლებს ახრამუნებდა.

სმა, შუამდე მივიდა, საკვები გამოილია, მხოლოდ ღვინო მოდიოდა უხვად. თამადა კაკოს აუხირდა.

— კაკოჯან, მაჩვენე შენი კბილები როგორია!

— რა ეშმაკად გინდა კაცო?

— ამოიღება?

— თუ მინდა კიდეც ამოვიღებ და კიდეც ჩავიდგამ.

— საშაზროვანი ყოფილა! — ჩაურთო მიკიტანმა.

— ამოიღე თუ ძმა ხარ, სახრავი მაინც არაფერია, კბილს ხომ არ უნდა ღეჭვა.

— რომ ამოიღოს, მერე ველარ ჩაიდგამს,—წააქეზა მიკიტანმა.

კაკო საკმაოდ მთვრალი იყო. მიკიტნის სიტყვებმა მართლაც წააქეზა და თავი მოიწონა.

— არც მასეა საქმე, ოთხი თუმანი დოუკარგლე... ამდენი ფული იმიტომ მივეცი, რომ კბილებმა ჩემ ჭკუაზე გვიარონ. მინდა ამოვიღებ, მინდა ჩავიდგამ. — ამ სიტყვებზე კაკომ პირში ჩაიყო ხელი, ხელოვნურად ჩადგმული ექვსი კბილი ამოიღო და ხელში შეატრიალა.

გაისმა „ვაშა“. მოქეიფეებმა ოვაციები გაუმართეს კაკოს კბილებს. გამარჯვებულმა კაკომ კბილები ახლო მდებარე მაგიდაზე გადასდო და ყანწი აიღო ხელში.

— აი, სანამდე მიდის მეცნიერება და ტეხნიკა... კბილს გინდ ამოიღებ, გინდ ჩაიდგამ.. ამას ქვია ცივილიზაცია! მაშ გაუმარჯოს... ჯეკ!:: მიაძახა გაფითრებულმა კაკომ თავის მეძებარს, რომელიც მაგიდაზე შეხტა

უკვე გვიანღა იყო; გაწუწკებულმა ჯეკმა არ შეიბრალა პატრონი. მას არაფერი გაეგებოდა ხელოვნური კბილების და ამიტომაც იყო, რომ მაგიდაზე დაწყობილი კაკოს კბილები ხარჩოდან ამოგდებულ ძვლების ნატეხებათ ჩასთვალა და წაატანა პირი.

გაფითრებული და გამოფხიზლებული კაკო წამოხტა და ძაღლს დაედევნა. მოქეიფეებმა სული განაბეს. მიკიტანი აილეწა. კაკო ყელში სწვდა ჯეკს, მაგრამ ჯეკი ისე ხამი იყო: ღრანჭის ორი მოქნევით დაამსხვრია მან კაკოსთვის ძვირფასი და საამაყო კბილები და ყელისკენ გადაუძახა.

თქმა აღარ უნდა, რომ ამ ამბის გამო ქეიფი დაიშალა, თამადას „საყდრისაწმინდოც“ არ დაულევია, ისე წამოხტა სუფრიდან.

გულწასული კაკო ძლივს მოაბრუნეს.

ჯეკმა, როგორც ამბობენ, „რაზვოდი“ მისცა პატრონს და ყაჩაღათ გავარდა.

კაკო ახლა დამზღვევ კასის წინაშე შუამდგომლობს ახალი კბილების შესახებ.

ალლარ-ალლარხან.

# გაბრიელი

სოფელ ცერცვიანის კოოპერატივის გამგე მეტად პასუხისმგებელი მუშაკი გახლდათ. მისი მუშაობა კი მთელს რაიონში ოღონდაც რომ სამაგალითო გახდა:

ჯერ იყო და როცა გაბრიელი კოოპერატივის გამგეთ დანიშნეს, ის მაშინვე შეუდგა კოოპერატივის გაჯანსაღებას: მოაწყო მშვენიერი ყაფაზები, დაახატინა ფერადი და ოქროს ასოებიანი აბრები (ქალაქელები „ვივესკებს" რომ ეძახიან) შეძინა მშვენიერი ავეჯი. და გარეგნულად ისე აპრელა კოოპერატივი, რომ... მაგრამ თქვენ არ იფიქროთ, რომ ეს იყო მარტო გარეგნულად,—არც „შიგნეულათ" დააკლო გაბრიელმა ზრუნვა:

— პირველ რიგში მან გადასინჯა კოოპერატივის საქონლის ნუსხა და საწყობი, სადაც აღმოჩნდა მეტად „შეუფერებელი" საქონელი: საპონი, ზეთი, ნავთი, მარილი, დაჟანგებული ლურსმანი და სხვა ამგვარი.

გაბრიელმა გულამოსკვნით დაასკვნა:

— ჰმ! აი, რას ნიშნავს ჩამორჩენილობა: ჩვენი ხელისუფლება ზრუნავს ხალხის დაწინაურებას, სოფლის ქალაქთან დაახლოვებას გლეხობაში ქალაქურ კულტურის შეტანას. ყველა ამის განხორციელების ერთ-ერთ საფეხურად კოოპერატივია მიჩნეული; მერე რა კულტურის შემოტანა შეიძლება სოფელში ნავთითა და მარილით, საპონითა და ცხენის ნაალებით? სად არის ისეთი კულტურული საქონელი როგორიცაა მაგ. დუხები, პუდრა ლორიგანი, ვიქტორია ჩულქები, შოკოლადები, სიგარები, ლაიკის ხელთათმანები, ჯერსეები და სხვა? ამისათვის საჭიროა მივლინებაში წასვლა!..

და გაბრიელი მივლინებაში წავიდა...

ერთი კვირის შემდეგ, ცერცვიანის კოოპერატივის ყაფაზებიდან კოპწიად გამოიყურებოდა ეს „კულტურული" საქონელი. ხოლო როცა თულუხებითა და კალთებით შედიოდენ გლეხები, ან გლეხის დედაკაცები და კითხულობდენ:

— ნავთი არის?

— არა,

— მარილი, ან საპონი?

— არც ის გახლავთ.

— ხამგალი, ან ვაზის სასხლავი?

— არც ის არის!

— მაშ რა გაქვთ?

— დუხი „ლორიგან-კოტი", საზღვარ-გარეთული, ჩულქი ვიქტორია, გალუსტიკები, ჯერსეები, პუდრები, შოკოლადები, ლაუნ-ტენნისის ხელსაწყოები, ლორნეტები, ყაშნეები....

— ეჰე, ჰე, ჰე, რა განათლებული და „პაკალუსტრური" რამეები გქონიათ!

— აბა შვილოსა, აქ შემოსვლა რა ხელს მოგვცემს? წავიდეთ იგრევ ი ლიპიან არტემასთანა, მართალია, სამჯერ მეტს გვახდევინებს, მაგრამა შენ ხარ ჩემი ბატონი, იმასა ყველაფერი აქვს, თქვენ კი რაღაცა დუხიბი გქონიათ დადექით, გადაისხით და მერე ერთმანეთს სუნეთ!..

და ლიპიან არტემას დუქანს ბუზივით ეხვეოდა მუშტარი, ხოლო კოოპერატივს კი ბუზები, თაგვები და გამგე —თავისი მოპურმარილეებით.

დადგა ფასების დაკლების კამპანიის ბოლო დღეები, —გაბრიელმა კოხტად დაწერილი განცხადება გამოაკრა:

**„ფასები დაკლებულია:**

მიტკალზე, ნარმაზე და ჩითზე,

პირველ საჭიროების საგნებზე.

პარფიუმერიაზე და სხვ.

ხოლო როცა გლეხები, ან დედაკაცები შედიოდენ და თხოულობდენ.

— გეთაყვა ერთი მეტრო ნავთი ამიწონე... ნოქარი ღრეჭით უპასუხებდა: — დედიჯან, ნავთი მეტრობით კი არა კილოგრამებით იყიდება, მაგრამ ნავთი და მაგისთანა ნაყარ - ნუყარი საქონელი ჩვენ არა გვაქვს!

— მაშ ორი კილოგრამი ჩითი მომეცი შვილო!

— ხი, ხი, ხი, დედიჯან ჩითი და ქსოვილი კილოგრამობით კი არა, მეტრობით იყიდება, მაგრამ ჩვენ არც მაგსთანა საქონელი გვაქვს.

— თითქო დასწერეთ ფასი დავაკელითო? თუ არა გაქვთ, ფასი რაღას დააკელით?

— ფასი დავაკელით, მაგრამ ის ხომ არ დაგვიწერია მიტკალი, ნარმა და საპონი გვაქვსო? რომ გვქონდეს, მაშინ ფასდაკლებით მოგცემდით...და აქ ნოქარი კაჭკაჭივით იმეორებდა „კულტურულ" საქონლის სახელებს, ხოლო გაბრიელი კუთხეში იღიმებოდა.

— არა შვილოსა, აქ შემოსვლა რა ხელს მოგვცემს, ისევ ლიპიან არტემასთან წავალთ...

მთელმა თემმა გაიგო რევიზიის ამბავი, გაიგეს გაბრიელის მიერ კოოპერატივის ფულების გადასანსვლის შესახებ, არც ის დარჩათ გაუგებარი, რომ გაბრიელი „ვირის აბანოში" მიაბრძანეს.

კოოპერატივს სათავეში ჩაუდგა საქმიანი და სოფლის ჭირვარამის მცოდნე მუშაკი, გაჩნდა საქონელი, გლეხობა მიეჩვია კოოპერატივში ვაჭრობას, არტემას ერთნაირად დაეფუშა დუქანიც და ლიპიც ხოლო გაბრიელი... ეხ, გაბრიელი რაღა სახსენებელია: ის ხშირად ეკითხება გამსახლის დარაჯს:

— სიგარა არა გაქვს?

— არა.

დუხი, ადეკალონი, პუდრი, ხიზილალა, ან ბუტერბროდი?

— არა.

— მაშ რა გაქვთ?

— გამფლანგველებისათვის, ბიუროკრატებისათვის, არამზადებისათვის გვაქვს: ციხე, მაგარი პანღური, შავი ქვა და ნაცარი ცხელი...

გაბრიელს სურვილი აქვს გაიმეოროს გლეხების პასუხი:

„არა შვილოსა, თქვენთან ყოფნა რა ხელს მომცემსო" მაგრამ სად წავა? და სიჩუმით უცდის ოთხი წლის გასვლას.

თარხი.

# საქულას იხვები

—იცით რა გითხრათ? ამოტოლა ვირისთავი გავიზარდე და ჯერ ასე ბედასლათ არ შავრცხვენილვარ აი. ამნაირი აბიდა არ მიჭამია, ამტოლი ზიაბრო ჯერ არ მინახია!

ვა, ეს რა იყო კაცო, ერთი რო არ გამიშალა რაფათაში? ყურები ისე ამიყლარუნდა, გეგონებოდა ყვინტლიან გეველოს ჩეთვერიკის ეჟვნებით მაამ! ჰამაც როგორ გაჯავრდა, როგორ სტროგათ დამიყვირა: ისე გადმამიტრიალა ის სამურაბე თვალები, რომა მეგონა ჰაა, ეს არის ჭაკი მგელი მიყურებს მეთქი:

— ახ ტი გრიაზნი სკატინა, ჯიბგირ, შარლატან ამ კანჭებში რას მიძვრებიო? ჰამაც ასე მაგრა რათ მიჩმიტეო?

ვებნები:—მადამ, ისე მაიქე, კაცი მოგიდგეს!—მე ისეთი ლევანდი ვინმე გგონივარ, რომ მაგისთანა ნიზკი რამე გიყო? რო მარტყამ, რას მარტყამ? არ გეშინიან, რომ ჰოპოები ავაფრინო და მაგ სახაშლამე ლიპში მეც დაგადო? ჩქმეტა რათ მინდა, რა ნუგბარი რამე შენა ხარ, რომ შენთვის ფირი გავიტეხო და პიშტა გავიფუჭო მეთქი?

საქმეში ხარ? იმან უფრო სტროგათ გაჯავრდა, კანლიხტორს შუშტუკი მიაცემინა და კონკა დააყენეს, ჰამაც მელძციონი და დორნიკები დამახვიეს და ჩამამიყვანეს, სეკრეტიც სწორეთ აქ გამაირკვა და კინაღამ...

ჰოო, მართლა, ჯერ თავიდან გითხრათ, თორემ ანე რას გაიგებთ:

• ჰაკარაკათ ჩვენი მექათმე ჩოლახ იაგორა ჩამაცივდა თუ — საქულჯან, ეხლა ფასების დაკლება დაუწყვიათ და სიღნაღიდან ქალაქში უჩემოთ ნუ წახვალ, მეც გამოგყვები—რამეები მაყიდინე, ხამი კაცი ვარ, არ მამატყუონო...

ჰაძღსონი კაცია, უარი ვერ უთხარი, და შეშვიდისათვის რომ წაველ, თან წავიყოლე.

ბარგი ბევრი წავიღეთ, ბაღაჟში არ მივეცით და ქალაქის ვაგზალში მთელი დროგი ავასეთ. ჰამაც ეს იაგორა დროგზე დავსვი, ბორესი მივეცი და პესკაზე ყაჯაროდუზას ნუმერში გავგზავნე. იმ ბემურაზს, იაგორას ხელში ზამბილის კარზინკა ეჭირა: მე მამაწოდა და მითხრა:

— საქულჯან, ამაში ზაქათლური იხვები არიან, ძალიან ნაინტერეს საქონელია და ქალაქში კაი ფასი ექნებაო, შენ რადვანაც კონკაში ჯდები, შიგ შაიტანე და ფრთხილად წამოიღეო.

ვებნები იაგორჯან, კონკაში ხომ არ იგიჟებენ, ან ხომ არ გაფრინდებიან მეთქი? იმან თუო.

— ალხეინათ იყავი, ნასწავლი იხვები არიან და ქკვიანათ მაიქცევიანო.

კონკაში რო ჩავჯექი, ეს ზამბილი სკამეინკის ქვეშ შევდგი. რა სიფათის ხალხი გინდა იქ არ იყო, ისე, ბევრი პასაჟირები იყვნენ, რომ ადგილისათვის სულ ერთმანეთს ახტებოდნენ. ჰამაც ზაფხულსგნით გახურებული ქალები თითქმის სულ გაშიშვლებულიყვნენ რაღა, მოდნაზე ჩაეცვათ და წელს ქვევით და წელს ზევით ყველაფერი გაეტიტვლებინათ.

ჩემს გვერდით ერთი ფაშფაშა დედაკაცი დაჯდა: შუა ხნისა იყო, ჩასუქებული—სოროკოი ბოჭკასა ჰგვანდა. ისე ცოტა რამე ეცვა, გეგონება ცირკის მოჭიდავეაო. მოკლე კაბა მუხლისთავებს ვერც კი უფარავდა.

უყურეფ და ვფიქრობ; ჰაი გიდი აბასთუმან. ქალაქის ქალები რა ჰაკარაკი ვინმეები არიან, ეს ბებერიც რო აცუნცრუკებულა და მოდნას აჰყოლია შეშვენის? ნუგბარი რამე მაინც იყოს, ეს ბემურაზი სწორედ საკალბასე მაშკალორსა ჰგავს მეთქი... ჰამაც სულ იმას ჩავცქეროდი და თვალს არ ვაშორებდი.. ერთიც ვნახოთ, ამ დედაკაცმა შამამბღვირა, შეხტა და იქით მიიწია, ჰამაც კანჭები დაისრისა და იძახის:

— შტო ტი ხამ, შჩიპაეშო!

მე ვიფიქრე ხამი ვგონივარ და ეშიხიან მეთქი. გულში ვამოფ: შე ბემურაზო, ხამი რათ ვიქნები, სანამ სოფელში დუქანს გავაღებდი, ბაზაზხანაში შემბარაქასთან პრიკაშიკათ ვიყავი, ეხლაც ხშირ-ხშირათ ჩამოვდივარ ხოლმე, თანაც ჩემი კეკელა შენ ასი თაბახითა გჯობია მეთქი!..

ერთიც ვნახოთ, ამ ფიქრში რომ ვარ, უცბათ წამოტხა ეს დედაკაცი და შიგ სიფათში ისეთი სილა გამაწნა, გეგონება დღეობის ლავაში მიაკრესო.

ატყდა ყალ-მაყალი, დაუკრეს შუშტუკები, ხალხი შეიყარა, მილიცია მოვარდა მე ეშმიში ვხდები, ვერაფერი გამიგია, ეს ქალი კი ყვირის:—გრიაზნი სკატინა, ხამ, ჯიბგირ, ხულიგან არესტუიტ მამენტალნა — კანჭებში მიჩმიტა და ჰამაც პადუსკის ბოლო მამაწყვიტაო.

ვა, სიყმეძაღლი ვიყო, თუ ამისთანა შარი მენახოს, გავშრი, გავიწურე, შიშისგნით დავპატარავდი. თავს ვიმართლებ. თანაც გავჯავრდი, ჰამა არაფერი არ გადის. მილიციონი იძახის:—ადექით ორივენი, ჩამოდით, უჩასკაში უნდა წაგიყვანოთო. ავდექით, ავიღე ჩემი იხვების ზამბილი და ჩამოვედით.

უცბათ ამ ზამბილიდან იხვმა თავი ამოყო და ამ დედაკაცს კანჭში არ უკბინა! ვა, ჰიშკილი იასნი გახდა, ჩავიხედეთ, მეორე იხვს იმ ქალის პადუსკის ნაჭერი ნისკარტში უჭირავს და ჩაყლაპას უპირებს. თურმე რის ჩქმეტა, რის ფლანი, რის ფსტანი; ამ იხვებს შიშველი კანჭები დაუნახავთ. ჭამის ჰიშტაზე მოსულან და კბენა დაუწყიათ ამ ქალისათვისა. იმან კი მე მტყიპა!

მილიციაში ბევრი ვიჩხუბე, შავარცხვინე ის ქალი, ჰამა კამისარმა მაინც მე გამამტყუნა: იხვები შენია და იმათი ჰანგლობისათვის ატვეჩაიც შენა ხარო! — ორი სუტკა ზარაშოტკაში უნდა ჩაჯდეო და ჰამაც ლაზათიანი შტრაფიც გეკუთვნისო!

ვებნები — უკტა კამისარ, თუ იხვი მინაოთია და ფიხხთი რამე მიჭქარა, თოლ ზარაშოტკაშიც ის ჩაჯდეს რაღა, მე რას მერჩი, ერთი ჰარიფი ვინმე ჩამოვსულვარ მეთქი. ჰამაც ეგ იხვები ჩემი არ არიან. იაგორასია მეთქი...

გაჯავრდა: — კაკოი ტამ, — ჩვენი იაგორა, მიაგორა არ ვიცითო — შემაგდეს ვირის აბანოში და ორი დღე-ღამე სირისტში ვეგდე. მერე გამამიშვეს და მითხრეს: სუდისგნით შტრაფის პავესკას სახლში მოიღებო!..

ვებნები:—ეე, ახმახ ეს სადაური კანონია, იმ დედაკაცთან სხვის იხვმა იანგლოს და შტრაფი კი მე დამარტყაო? თუ ის დედაკაცი კიდევ აბიდაში დარჩა, პესკაზე იაგორასთან წუვიყვან და თოლ იმან კიდევ იმას უჩქმიტოს და ჰუზურში ბარდი-წარი გამოვლენ მეთქი!

საქმეში ხარ? გაიცინეს და გამამაგდეს. ჩვენ იმას ვშტრაფამთ, ვისაც ნამესტა პრესტუპლენიათ ვიჭერთო!..

— მაშ იხვის ჭაგიც მე რომ ვყოფილიყავ, მაშინაც ასეთ ნაკაზენიას მიჩვემდით მეთქი?

— ჰოვო.

მაშ რახან ასეა, ბეჰურაზი ვიყო თუ რომ ის დედაკაცი არ მოვძებნო და ჰანგლით არ მოვიქცე მეთქი...

ძალიან გაჯავრებული წამოველ. იმას აქეთ სულ იმ ნუმრის კონკას ვეძებ, იქნება ვიპოვო ის დედაკაცი, რომ ერთი ლაზათიანი ისემე უყო — სპორი რაღა, ჩემი შერცხვენისათვის პასუხი მოვსთხოვო და ჰამაც შტრაფზე უარი ვათქმევინო!

ფარსადან.

# ტიტიკოს ქეიფი

— აბა, თითო ჭიქა დავლიოთ სადმე. ცოტა არ იყოს და ქე დევიღალე ბოშო; ჩევიდეთ აგერ.—უთხრა ტიტიკომ თავის ორ ამხანაგს და ჰკრეს თავი ბნელ სარდაფში.

— უჰ რა ბნელა კაცო აქანე.—წამოიძახა სერაფიამ.

საჩქაროდ მოუსხდენ ერთ სუფრას და დაარაკუნეს.

— რას მიირთმევთ, შენი ჭირიმე,—მივიდა სარდაფის პატრონი.

— კაი ღვინო გააქვთ?

— რავა გეკადრება, ღვინო ნაინტერესნი გახლავს.

— მოგვიტანე ორი ბოთლი თავისი ზაკუსკით.

— ამნუჩი შენი ჭირიმე,—და მიკიტანი ფილო უცებ გაქრა.

— ძლივს არ გიცანი ბიჭო.—ეხუმრა იოსება ტიტიკოს—აწი ძანაც, რომ მეინდომოს, ვერსად ვერ გეგვექცევა აი ჩვენი მაინძელი.

— შენმა ოხრობამ, იოსებაი კი არა ვარ, რომ გევიპარო; ან ჩხუბი ვქნა!—გაიხუმრა ტიტიკომ და სამივემ სიცილი დაიწყეს.

ფილომ ერთ საინზე პური დადო, მეორეზე ყაურმა, მესამეზე ოთხი ცალი ბოლოკი, ერთი კვარტი ღვინოც და ყმაწვილებს წინ დაუდგა, და თანც დაუმატა: „კამპანიას გაუმარჯოს“-ო.

ტიტიკომ ახედ-დახედა ფილოს და გაკვირვებით მიაძახა:

— ამას ვის მხედავ, ღმერთო მომკალი ფილო?

— ტიტიკოჯან, ჩემო ტიტიკო. და ფილომ და ტიტიკომ ერთმანეთი მაგრად ჩაპროშტნეს.

— საიდან სადაო, წმინდა საბო! რა შობი? რავა ხარ? ხომ კარგად? სხვა თქვენკენ რაამბავია? გდაეხმაურენ ერთმანეთს.

— იცნობდეთ—გაახსენდა უცბად ტიტიკოს და ფილოს თავისი ამხანაგები გააცნო.—ესეც ჩვენი კარგი ძმა და მეგობარი ფილო შტვირაძე. აბა, ჩემო ფილო, მოწიე სკამი!და მუშტრის სუფრაზე ნაჩვევი ფილო თხოვნის უმალვე მიუჯდა ტიტკოს.

ფილო რაჭველი იყო, ერთ დროს ქუთაისში ხაშის დუქანი ჰქონდა და ტიტიკოს კარგი ნაცნობი.

— მაშ ასე, ტფილისში ვაჭრობ ფილო ახლა არა? მალადეც.—უთხრა ტიტიკომ.

— ვაჭრობ, მარა ქვე რა უთხარი მე ამისთანა ვაჭრობას, წეილეს ტვინი შენ ხარ ჩემი ბატონი — ერთი ფინინსპექტორმა და მეორე მელიცონერებმა, ვერ ამევედი მაგენის ვალში—ხვნეშით უპასუხა ფილომ.

— არა უშავს რა, გაუძლოთ. მიირთვი, მიირთვი; ჩემო ფილო. რაცხა საქმეზე ჩამოვედი ორი დღით ტფილისში და შენისთანა მეგობარს პატივი რავა არ უნდა ვცე!

— ეს ღმერთმა გოუმარჯოს ჩვენს შეხვედრას, **ჩვენს შეხედულებას,** ჩვენს პურ-მარილს.—ტიტიკომ სადღეგრძელო დალია და გადავიდა ალავერდს იოსებასა და სერაფიასთან.

— იცოცხლეთ თქვენი ჭირიმე, ღმერთმა თქვენი თავი ნუ მამიშალოს.—გადაჰკრა ფილომ.

კარგა ხანი იჯდა ფილო მეგობრებთან, კარგათაც დალიეს. ბოლოს ფილომ ბოდიში მოითხოვა და ბანცალით დახლისაკენ გასწია, რომ მუშტრებისათვის მიეხედნა. შეზარხოშებულმა ამხანაგებმა ცოტა ხანს კიდევ სვეს. შემდეგ კი, ტიტიკო დახლთან მივიდა სავსე ჭიქით ხელში, ამხანაგებიც მიიწვია და განაგრძეს სმა.—ჩემს ფილოს ჩვენთან დასაჯდომათ სად ცალია, ის დახლში უნდა იყოს, ამიტომ ჩვენ მივიდეთ ახლა იმასთან. ამ ჩაის ჭიქით აფხანაკებო ვადღინძელოთ იმ კაცის წარმოება და ვაჭრობა, რომელიცა, რომე ჩვენ შეგვხდება და პატივს გვცემს. ეს არის ჩვენი ფილო, რო ვინიცობაა ფილო არ ყოფილიყო, ეს წარმოება არ იქნებოდა. რო ვნცობაა ეს წარმოება არ ყოფლიყო, ფილო არ იქნებოდა და არც ჩვენ ვიქნებოდით აქანე და ამისთანა ტკბილი პურის ჭამაც არ გვექნებოდა. ამიტომ გოუმარჯოს მაგას, გოუმარჯოს, მაგის წარმოებას და მაგის ყორიფელს.—ტიტიკომ ფილო გადაკოცნა, ჩაის ჭიქა გადაკრა და ამხანაგებს გადასცა.

— აბა ბიჭებო, მაშ ერთი პეტერა—კოხტა ბრააავალუ ჟაააამიერ...—შესძახეს ამხანაგებმა.

ფილო მუშტართან გაიქცა.

— ბიჭო ტიტიკო. ფული არ გვეყოფა შე ოჯახქორო ამდენს რომ ვსვამთ! გავათავოთ ბარემ—გადუჩურჩულა იოსებამ.

— მეიცა შე კაცო; ქუთეისს ორი აბაზია ღვინო და აქანე ათ შაურზე მეტი ხომ არ იქნება! ნუ ჯანაბას, სამ აბაზს მივცემ,არაფერს დავაკლებ;; ნუ გეშინია.

კიდევ დიდხანს სვეს ბიჭებმა, ალარაფერი დაუტოვეს ფილოს უდღეგრძელებელი და ბოლოს კარგა ნასვამებმა მოითხოვეს ანგარიში.

— რამდენია ფილო ჩემი. აბა მითხარი! — გასძახა ტიტიკომ.

— შვიდი და ათი შაური, გენაცვალე.

ტიტიკო შეშფოთდა, გული რალაც საშინლად აუტოკდა. ხელში 2 მ. და 50 კ. ხურდა ფული ეჭირა, რომლის მიცემით ფილოს ასიამოვნებდა კიდეც ეგონა, რადგან თვითონ გამოანგარიშებული ჰქონდა მხოლოდ 2 მ. და 20 კაპ.

— რავა ყიდი, ფილო ბოთლი ღვინოს—ჰკითხა გაკვირვებულმა ტიტიკომ.

— ექვსი აბაზი.

—ექვსი აბაზიიიი! რას ამბობ, კაცო?! ქუთაისს ორი აბაზია. აქ რა ამბავია? შეგარცხვენა ღმერთმა. დაგასხი თავს ლაფი. უსინდისო. გასკდი, გაგჯი ჩემთან და კიდო მაგდენი მიანგარიშე. მე კი ამის მეტი ფული არა მაქვს ჯიბეში, შე ყურმუსალო, შენა. კი შეგვხდები ქუთეისს და გიტირეფ დედას...

— თუ ფული არა გქონდა, რას მეეთრევოდი აქ, შე ვირის მამიდაშვილო შენა? ეხლავე წაგიყვან ვირის აბანოში.—ცხარობდა ფილო.

ამ დროს ჩაერია საქმეში მილიცია და კომისარიატისკენ უკრა თავი მოჩხუბრებს.

— დაგასხი თავსლაფი შე სპეკულიანტო, შენა. ფუი, შენს ვაჟკაცობას. შენთან ჩამომსვლელს კი რა უთხრა და შენს პატივის მცემელს, შე ქოფაკო შენა.—აგინებდა ტიტიკო გზადაგზა ფილოს.

— ფუი, შენს კაცობას დავასხი თავსხლაფი შენისთანა მუშტარს! რალაც კაპეიკები დახარჯო კაცმა და იგიც ვერ გეისტუმრო, შე სალახანა შენა!—ცხარობდა ფილო და აფურთხებდა ტიტიკოს.

იოსება და სერაფია კი ჩუმად იცინოდენ და ერთმანეთს ეჩურჩულებოდენ:

— რავა ტყუილად ჩეიარა ბიჭო ჩვენი ტიტიკოს პრტყელ-პრტყელმა რეჩებმა!

**ბალაჯან.**

# ჩემი კინო-ექსპედიცია

თვალი დაუდგეს ჩემს სიცოცხლეს. მე რომ ქვეყნად არ გაჩენილიყავ, ის მერჩივნა. კაცო, ერთი დღე, **„ერთი ღამე"** (უგდე ნისენის მონაწილეობით) ისე არ გაივლის, რომ ახალი ჭირი თავს არ დამატყდეს და სიცოცხლე არ გამიმწაროს.

ყველა ჭირს რომ თავი დავანებოთ, განვიხილოთ ერთი შესანიშნავი შემთხვევა, რომელიც ნათლად გვაუწყებს ჩემს მდგომარეობას:

მე, როგორც ახალგაზრდა კაცი, დავეხეტებოდი რუსთაველის პროსპექტზე ჩემის გახუნებულ ტანისამოსში.

მარტოობით დაჩაგრულს ღმერთმა გადმომხედა და გადმომიგდო **„ქალი ბურუსიდან"** (მხატვრული შედევრი), რომელსაც დიდათ დავუახლოვდი და სიყვარული განუცხადე.

თურმე ამ ქალს სხვაც ეტრფის და გამწვავდა **„ხამთა სიყვარული"** (არაჩვეულებრივი დადგმა).

ქალს თურმე ორივენი მოესწონდით. ამიტომ ვერც იმისკან გადახრილიყო ვერც ჩემსკენ.

ეს რომ გავიგე, თავს ბრუ დამესხა და რეტიანივით დავიწყე ლაპარაკი:

— ვიშოვე განძი! ვიშოვე სატრფო **„ხალხის ხათაყვანებელი"** (ბენა ტირპენის მონაწილეობით) და ისიც ლამის ხელიდან გამეშვას!

ორი დღის შემდეგ გზაში შემომხვდა. სახეზე აილეწა, თვალები ცას მიაპყრო, ცრემლები წამოსცვივდა და მე თვალწინ წარმომიდგა **„ქალი გზა-ჯვარედინზე"** (მხატვრული სურათი ორ სერიად).

დავბრუნდი შინ. მთვრალივით მოვდიოდი შუა ქუჩაში. ჩემს წინ სუყველაფერი აირია დომხალსავით. ვერარაფერს ვერა ვხედავდი და ამიტომ დავეტაკე იქვე მდგომ მეეზოვეს, რომელმაც მკაცრად შემომბღვირა ვით **„შავი მგლის შვილი"** (დუგლას ფერბენქსის მონაწილეობით).

როგორც იყო, სახლს მოვაღწიე. განზრახული მქონდა ჯავრი ავეჯეულობაზე ამომეყარა და ჭურჭელი დამემტვრია, მაგრამ აქაც ბედმა მიმტყუნა და შინ სტუმრად და-

# მოტივი



**სახლის-პატრონი:** კაცო, ასეთი პატარა სახურავის შეღებვა ხუთ თუმნათ, ძალიან ძვირია!

**მღებავი:** ეს იმიტომ, ხაზეინჯან, რომ კრასკა ქალებმა გააძვირეს. ხომ ხედავ ყველა ქალებს წითელი კრასცით აქვთ შეღებილი სახე?

---

მახველრ: **„ქალი პროვინციიდან“** (მთავარ როლებში: ქსენია დესნი და ვალტერ სლეზაკი), ხათრით თავი შევიკავე.

დილით ისე ავდექი, თითქოს ჩემს თავზე არაფერი მომხდარიყოს გუშინდელი ამბავი სიზმარი მეგონა და ის იყო ყველასათვის უნდა მეამბო, რომ თავში გამიელვა ერთმა აზრმა. ვიცოდი დედაჩემი მაწნარად ა... მე მათ წინაშე გამოვიდოდი **„მხდალი“** (ჯემს კრუზეს დადგმა).

მეორე დღეს მეგობარმა ჩემსას შემოიარა და ძლიერ ცუდი ამბავი მომიტანა. მაუწყა — სატრფოს ავადმყოფობა და ექიმის აუცილებლობა. აი უდიდესი ჭირი და ვაგლახი. აღარც მშრალი სიყვარული და არც კაპეიკი გროში ექიმისათვის. მეგობარი კი მაჩქარებდა.

როგორც იყო ცოტა გროშები ვიშოვე, ჩავიცვი **„ტყავის ხელთათმანები“** (წარმტაცი კინო-სურათი), წამოვისხი პლაში და მეგობარით ექიმისაკენ გავსწიე.

ჩემი ფული ელოტავათ და არავინ გამომყვა. ამიტომ მოგვიხდა იაფფასიან ექიმის ძებნა. დავეთრევით ქუჩებში ვით **„მოხეტიალე ვარსკვლავები“** (შოლომ-ლეიხიმის რომანის მიხედვით.) და თვალებს ვაცეცებთ აქეთ-იქით.

ერთმა ქალმა შეგვამჩნია და როცა გაიგო ჩვენი დარდი, გზის სწავლება იკისრა. გვატარა ბევრი და მიგვიყვანა ერთ ბნელ ჩიხში, სადაც იძრო მან რევოლვერი და ტანისამოსი დაგვხვდა. საცვლების ამარა დაგვტოვა. ექიმს ვეძებდი და შეგვხვდა **„ბანდიტი ქალი“** (მილიტონ სილსის მონაწილეობით). საცვლებით ვიარეთ და მივადექით ერთ ექიმის კაბინეტს. შიგ ძლივს შევძვერით და ტირილით ავუხსენით ჩვენი მდგომარეობა. ექიმმა არ შეგვიწყნარა და რადგანაც საქმე გაუჭირვეთ, გაცხარდა და დაგვიწყო გინება. სიტყვას სიტყვაზე აყოლა და პირიდან ამოსდიოდა **„ხაპნის ქაფი“** (მერი პიკფორდის მონაწილეობით).

# ძირს მოწყინ

## რა გატ

**თავო ჩემო, ბედი არ გიწერია..,**

რა თქმა უნდა—არგიწერია, თუ **„ტარტაროზი“ არ გამოგიწერია.**

**ვინ რა იცის, რომ ეს გული მკვდარია...**

(ახია თქვენზე! რატომ არ იწერთ და კუთხულობთ „ტარტაროზს“?).

**და სიცოცხლე ცრემლზედ უფრო მწარეა.**

ცრემლზე კი არა, ქინაქინაზე უფრო მწარე რომც იყოს, მაშინაც არ შეგიბრალებთ, მასე იქნება ყოველთვის თუ **„ტარტაროზი“-ს** ხელისმომწერი და მკითხველი არ გახდებით.

**მომიტანეთ, მასმევინეთ,**
**ეგებ ცოტა მოვჯობინდე.**

მიართვით, მიაწოდეთ „ტარტაროზი“.. ეგებ კი არა აუცილებლად მოჯობინდება.

**დღეს მერცხალი შემოფრინდა.**
**ჭიკჭიკითა გადმომძახა:**

ვა, შენს პატრონს, როგორ საწყლად
დაგიღია მაგი ხახა?!
რაღას უცდი? ამ წუთშივე
**„ტარტაროზი“** გაიწერე....
სხვა საქმე კი შემდეგ ჰქენი....
გამიგონე, დამიჯერე.

**ვისაც რა უნდა უყვარდეს**
**სულ სხვაა ჩემი ტრფიალი..,**

ე. ი. ვისაც რომელი გაზეთი უნდა, ის გამოიწეროს,— ხოლო თქვენ კი აუცილებლად უნდა გამოიწეროთ **„ტარტაროზი“**; რადგან ის ყოფილა თქვენი სატრფიალო.

**მიყვარს „მუშა“, „ტარტაროზი“,**
**მათი კითხვა და ტრიალი.**

**მე რად მინდა გაზაფხული,**
**მისი მოსვლა მე რას მარგებს?!**

მართალია — არაფერს არ გარგებს, თუ **„ტარტაროზი“-ს** მუდმივი მკითხველი არ ხართ.. ხოლო თუ **„ტარტაროზს“**, სისტემატიურად კითხულობთ, მაშინ;

ყველა ამის შემდეგ, თუ თქვენ მაინც არ გამოიწერ... არ ვაგებთ არავის წინაშე თქვენს მაგიერ...

**მისამართი:** ჯორჯიაშვილის ქუჩა № 6. (პროვინც... ტაში).

## ...ლობა, სევდა

## ...რებთ?„

...დაგვერწმუნეთ—ისე კარგად გახდებით, რომ ასე ამ-...ღერდებით:

სხვა რად მინდა?!? „ტარტაროზი"
ყველაფერზე უფრო მარგებს.

**კაცია ადამიანი**

რომელსაც „ტარ. ..როზი" არ გამოუწერია?! რასა-...ყვირველია: ის კაცი ადამიანი არ არის!

**თუ გინდა ჯვარს ეცვი,**
**არ არის საშველი.**

ვინ მოგატყვილათ, რომ თითქოს არ იყოს საშველი? რამ გაგიტეხათ გული ასე? საშველი არის. ჯვარზე ცმა არ არის საჭირო... საჭიროა მხოლოდ **ოთხი აბაზი**, რომ **გამოიწეროთ გაზ. „მუშა" და ჟურ. „ტარტაროზი".**

აი, ეს არის საშველი. სხვა კი — მართლაც ალარაფე-რი საშველი არ არის.

**დავრდომილი, სნეული**
**უნუგეშოთ ვსტირი მე...**
**რა ვქნა, რა ვქნა; მითხარი,**
**მითხარ შენი ჭირიმე?!**

ვახ! ნუ თუ მეტი მოფიქრება არა გაქვს?! რა უნდა ...ქნათ,და—ეხლავე გამოიწერთ **„ტარტაროზი"**

**წამო ვანო, წამო; წამო,**
**დავაგვიანდით მარტო ჩვენა.**

თქვენ გგონიათ, რომ ამ ახალგაზრდებს ექსკურსია-...ზე მიეჩქარებათ? არა სრულებითაც არა. დაუგვიანდათ, ვერ მოასწრეს და გაზ. **„მუშა"**-ს და ჟურ. **„ტარტაროზი"-ს გამოწერას, ეხლა ჩქარობენ.**

**(სჯობს გვიან, ვიდრე არას დროს?!)**

**მირბის მიმაფრენს უგზო-უკვლოდ**

ლბად ჩვენი კანტორისაკენ მიგაფრენს.

ყოჩაღ! მასე უნდა! კაცს დაჰგვიანებია აგვისტოსა-...თვის ჩვენს ჟურნალ-გაზეთზე ხელისმოწერა და ეხლა კი, ხედავთ, როგორ ჩქარობს?! ყოჩაღ!.. ყოჩაღ!.. აი, გვესმის ასეთი კაცი!!! **(მიბაძეთ მას)!**

...გაზ. **„მუშა"** და ჟურნ. **„ტარტაროზი"**,—ჩვენ პასუხს ...

...ებში—მთავარ კანტორის, განყოფილებებში და ფოს-
**ტარტაროზი.**

## იშკილიდან-დავარდნილი



ბუურჭა: ჩვენს კნიაზს გაუმარჯოს! დაჩაზე არ მიბრძანდებით, კნიაზჯან?!

ყოფილი თავადი: ყბას ნუ შიქცევ, ყაჩახო, თორემ ამ კომუნისტების ჯავრს შენზე ვიყრი.

შეგვეშინდა და უკან დავბრუნდით. სალცლებით ხიარული ველარ ავიტანეთ, რადგან მთელი ხალხი ჩვენზე იცინოდა და ამიტომ განვიზრახეთ ქურდობა. ერთი სახლის ფანჯარა ღია დავინახეთ და იქით გავსწიეთ. წინ შე გადავხტი, როგორც **„ბაღდადელი ქურდი"** (დუგლას ფერბენქსის მონაწილეობით). ჩვენ ბედზე იქ მცხოვრები მეზობლისას ყოფილიყო. ჩავიცვით რაც მოგვხვდა და ის იყო ვაპირებდით გაპარვას **„უკანა კარებიდან"** (წარმტაცი კინო-რომანი), რომ შემოგვისწრეს და კომისარიატში მიგვაბრძანეს. ჩაგვყარეს კუტუსკაში და თავი მიგვანებეს.

ვეგდე მშიერი და მაგონდებოდა **„დაკარგული საუნჯე"** (მშვენიერი სიუჟეტი).

რამოდენიმე ხნის შემდეგ, ორ-ორი თვით ვირის აბანო მოგვისაჯეს.

ალბათ ღმერთმა ეს მაინც გაიმეტა და ციხეში ერთი ძველი მეგობარი შემახვედრა. მასთან ვსაუბრობდი მთელი ორი თვე. მას დიდი სასჯელი ჰქონდა, რადგან იგი **„მამის მკვლელი"** იყო (ნატა ვაჩნაძის მონაწილეობით). იქვე ვნახე მეორე ტუსაღი, რომელიც მივამსგავსე **„არსენა ყაჩაღი"** (სახკინმრეწვის ნაწარმოები ბარსკის დადგმა). ორი თვის შემდეგ მე გამანთავისუფლეს. გამიმწარდა სიცოცხლე უფრო მეტად, რადგანაც სატრფოს თქვენი ჭირი წაეღო.

გნებავთ, მკითხველო, გითხრათ თუ რა დღე იყო ის დღე, რომელმაც ასე გამიმწარა სიცოცხლე? გეტყვით! ეს იყო ის დღე, **„როდესაც დნება თოვლი"** (მერი პიკფორდის მონაწილეობით).

ამის შემდეგ ლავდივარ, დავეხეტები ქუჩებში და არ ვიცი **„ვინ არის დამნაშავე"** (დადგმა ა. წუწუნავასი. მთავარ როლებში: ნატა ვაჩნაძე, კოტე მიქაბერიძე, დიმიტრი ყიფიანი და სხ.) ჩემი ბედია თუ ჩემი თავი? თუმცა ჩემთვის სულერთია რომელი ამათგანი იქნება.

**ხიგო.**



**საჭამიასერი** (გურია): ზემოხეთის ალმასკომის თავმჯდომარე კოტრიკაძემ, ყოველგვარი კავშირი და დამოკიდებულება გასწყვიტა საჭამიასერის თემთან და გამოაცხადა ზემოხეთის დამოუკიდებლობა. საჭამიასერის მთავრობას ულტიმატუმი გაუგზავნა, რათა ეპოს ნაწილი დაუყონებლივ გამოგზავნოს მის განკარგულებაში, რაზედაც უარს ეუბნებიან. მოსალოდნელია შეტაკება.

**იჭიდანვე:** უგზო-უკვლოდ დაკარგა თავისი თავი საჭამიასერის საკრედიტო ამხანაგობის თავმჯდომარემ, რომელიც სიმინდის საყიდლად იყო წასული. მპოვნელს სთხოვს შეატყობინოს, თუ სად იმყოფება თვითონ.

(გრიპი)

**წალვერი:** ზაკტპომ გახსნა მაღაზია, სადაც საჭირო საგნების გარდა, რაც არ გინდა ის არის. მაღაზიის მესვეურს, როგორც ახალგაზრდა კაცს, მაღაზიაში ჯდომას წმინდა ჰაერზე სეირნობა ურჩევნია. ასე ასწავლეს მას კერძო ვაჭრებმა.

**იჭიდანვე:** წელსაც კარგი დროსტარებაა. ბავშვები პეპლებს დასდევენ, ხოლო მათი დედები „ნაცნობებს".

**კულაში:** სამსონმა მელიტონის დახმარებით მოახდინა თავის თავზე ცდა, რამაც კარგი შედეგი მიიღო. ადამიანს ყველაზე უფრო ასუქებს თურმე სკოლის ფული. სამსონი თანდათან სუქდება.

მაგრამ მის წინააღმდეგ ილაშქრებს ვასილი, რომელიც ამტკიცებს, რომ ადამიანს ღორის ქონი უფრო ასუქებსო. იგი გალესილი წალდით ნადირობს მეზობლის ღორებზე.

**იქიდანვე:** სკოლაში ჰაერის გაწმენდის მიზნით, ჩაამტვრიეს ყველა მინები და ეხლა ქარი შიგ თავისუფლად ნავარდობს.

(აჯიბაბა)

**საგარეჯო: პროფკავშირის და პოლიტგანის შორის მოსალოდნელია ურთიერთობის გამწვავება. დავა აქვთ** იმის შესახებ, თუ ვის ეკუთვნის კლუბი-სამკითხველო, **რომელიც**, როგორც სადავო საგანი, ორივეს მხრივ დატოვებულია უყურადღებოთ. **(„წარუკა").**

**ქუთაისი:** ალმასკომის განკარგულებით სადგურის ქუჩაზე აკრძალულია მიმოსვლა ღამით და ავდარში, რომ ამით აცილებულ იქნას თავიდან უბედური შემთხვევა. ქუჩის შეკეთება გადაწყვეტილია და შეუდგებიან საქართველოს გასაბჭოების ათი წლის თავზე. **(ქუთაისელი).**

**გორი:** გუშინ პირველი შემთხვევა იყო გორის პროფბიუროს სამკითხველოს არსებობაში, რომ იგი თავის დროზე გაიღო მეთვალყურემ და მსურველებს საშუალება მიეცათ ჟურნალ-გაზეთების წაკითხვისა. მოსალოდნელია ამ მშვიათმა მოვლენამ ტაროსი შესცვალოს. **(შენ-გელი)**

**ბახვი (გურია):** ყოვლად უწმინდურმა სამღვდელოებამ ნოტა გაუგზავნა კომკავშირელებს, რათა ამ უკანასკნელებმა დასცალონ სამი წლის წინეთ ოკუპაციაქმნილი ეკლესია. „ოკუპანტები" უარს ამბობენ ევაკუაციაზე. მოსალოდნელია ჯვაროსანთა ომი. მღვდლები სამრად წვერს იპარსავენ; ამბობენ:—სულერთია, „კომსომოლები" ომში მაინც არ შეგვარჩენენ და სჯობია გაპარსვაო.

**(ს. ბახველი).**

**ჩიბათი:** ყოფილი თავადი (!) მელქისედეკ ჭყონია იაფად ჰყიდის კბილებს, რომლებიც ჩაუცვენია-დაუმტვრევია სხვებისათვის და მოუგროვებია საკმაო რაოდენობით ძველ ხელობას ეხლაც აგრძელებს. **(გაეშმაკებული).**

**საჭამიასერი:** გლეხკომის თავმჯდომარემ უცხოეთიდან გამოიწერა დიოგენის ფანარი, რომლითაც უნდა მონახოს ტარტაროზკორი და სცემოს მას „ტარტაროზში" ... მოთავსებულ წერილის გამო.

**(ტარ-კორი)**

# ქალის აღსარება

ო, როგორ ცხელა!

ცხელა. ცეცხლის ალი მედება მთელს ტანზე. ზღვა-ავით ტოკავს ჩემი განიერი მკერდი, თვალებს სჭრის მზის ელვარება.

გახურებულ გულს სწვავს და დაგავს ცეცხლის ალმური.

თუმცა ყოველგვარი ზომები მივიღე სიცხის საწინააღმდეგოთ. მოკლე, გულ-მკერდ მოღიავებული კაბა, სრულიად უსახელოო. მთლად გატიტვლებული მაქვს გულმკერდი. თხელი ჩულქები, ეს საშუალება ორნაირი მიზნისათვის მსურს, რომ გამოვიყენო: ერთი ის, რომ ამ პაპანაქება სიცხეში ჩემი მხურვალი ტანი სიცხისაგან არ დაიწვას და მეორე ის, რომ ვაჟების ყურადღება მივიპყრო.

თუმცა ეს ასეა, მაგრამ მე მაინც არა ვარ კმაყოფილი, რადგან ამ შუა ზაფხულის დღეებში მოსვენებს არ მაძლევს დიდი სიცხეები. როცა შინა ვარ კიდევ უფრო ხალვათად ვგრძნობ თავს. მიყვარს რომანების კითხვა, მე მაშინ ჩემს თავს ვადარებ ხოლმე ამა თუ იმ, რომანის გმირს. მსურს ხოლმე, რომ მათზე გამბედავი ვიყო. ეხლახან მეტად შემიყვარდა მ. ჯავახიშვილის რომანების კითხვა. მის ნაწარმოებთა შორის ყველაზე უფრო მომწონს **თეთრი საყელო.** აქ რომანის გმირი **ცუცქია** მხიბლავს და მიტაცებს. მიტაცებს, რადგან მთელი მისი მოქმედება **მიმართულია მამაკაცების წინააღმდეგ.** გულდასმით რამდენჯერმე გადავიკითხავ ხოლმე განსაკუთრებით იმ ადგილებს, საცა ქალი თავის ქმრის წინააღმდეგ ილაშქრებს. იბრძვის რომ მამაკაცის ბრჭყალებისაგან თავი გაინთავისუფლოს. მე მაშინ აღტაცებით წამოვიძახებ ხოლმე: „მალაჩინა, მალაჩინა ცუცქიაჯან! შენ თამამად შეგიძლია პირველი თუ არა, მეორე ადგილი მაინც დაიკავო **ქალთა მოძრაობის ისტორიაში"** ამას ისე ხმამაღლა წამოვიძახებ ხოლმე, რომ ჩემი ქმარი, რაც უნდა საქმეში იყოს გართული, გიჟივით წამოვარდება და გაშტერებით მიყურებს ხოლმე. საცოდავათ დაჭყიტავს თვალებს და დიდხანს უსიტყვოთ მომჩერებია. საბრალო მიეჩვია ... ჩემს ამგვარ საქციელს, თორემ პირველ ხანებში ჭკვაზე გადამცდარი ვეგონე რამდენჯერმე ექიმის დასაძახებად გაიქცა, რომელიც ხშირად მუქარით დამიბრუნებია ხოლმე. „აი, შეაჩვენოს და დასწყევლოს ღმერთმა ჯავახიშვილია თუ რაცხა ჯანდაბა, ჩემს საჭიროდ დაუწერია ეს ოხერი რომანები. ლამის არის ქალი ჭკუაზე გადამირიოს".—იტყვის ხოლმე ხშირად ბრაზმორეული.

მე კი ვნერვიულობ და თვალებიდან ცეცხლს ვაფრქვევ. ვუმტკიცებ, რომ ჯავახიშვილი დიდი მწერალია. მას ბადალი არა ჰყავს ჩვენს ქართულ ლიტერატურაში. ჯავახიშვილი ღრმათ ჩასწვდა ჩვენი ცხოვრების ყოველ კუნჭულს და განსაკუთრებით დიდი ნიჭი და ცოდნა გამოიჩინა **ქართველი ქალის ფსიქიკის ახსნაში.** შემდეგ იმდენად მეშლება ნერვები, რომ ძუ ვეფხივით წამოვიჭრები ხოლმე, მივარდები ქმარს და ვლანძღავ რაც კი შემიძლია. შემდეგ გადავდივართ ოჯახურ საჭირბოროტო საკითხებზე, მუქარით და ლანძღვა-გინებით ვუმტკიცებ, რომ საჭიროა, ახალი ტანსაცმელი, ტუფლები და შლიაპა. ლორიგანი და დუხი. პომადა და სხვადასხვა, რაც რომ **ქალისათვის აუცილებელ და გადაუდებელ საჭიროებას წარმოადგენს.** ვუმტკიცებ: თუ არ შეუსრულებია ჩემი სამართლიანი მოთხოვნილება, იმ შემთხვევაში გავექცევი, წავალ. სხვას უფრო მდიდარს და ფულიანს გავყვები. მას კი სიცოცხლეს გაუმწარებ, დავსწვავ, დავდაგავ. ალიმენტს უეჭველად გადავახდევინებ. ვეუბნები, რომ ჩემი მოთხოვნილებები სასწრაფოთ დააკმაყოფილოს და ამით მოიხადოს თავისი ვალი ქალის წინაშე; იმ ქალის, რომელიც დღეს აღარ წარმოადგენს მამაკაცისათვის მხოლოდ გასართობ ნივთს, არამედ მის თანასწორსა და მისივე უფლებებით აღჭურვილ პიროვნებას. ასე მიდის ჩხუბს და აყალ-მაყალში მთელი დღეები.

სალამოობით ხოლმე, როცა გრილი სიო დაბერავს, მე უკვე გამზადებული ვარ გასასეირნებლად. კავალერა ...

თისათვის მოცდის რუსთაველის პროსპექტზე. თმებ დახუჭუჭებული, პუდრით და დუხით გაბრუებული გავუყრი მკლავს მკლავში და მთელი საათები ვჭუკჭუკობთ ხოლმე, სიყვარულზე, ჩვენი მომავალი ცხოვრების შესახებ. დავიწყებთ რუსთაველის პროსპექტიდან, შემდეგ კინოში, შემდეგ არტოში და არტოდან დაბრუნებული გზაში ჩემს სახლამდე, სანამდისაც ჩემი კავალერი აუცილებლად მომაცილებს ხოლმე. ვსაუბრობთ ერთსა და იმავე „სიყვარულის" თემაზე. მეტად საინტერესოა ჩემი ლიუბოვნიკი: მაღალი, წვერულვაშ გაპარსული. ჩაკავერკოტებული. ფულიანი. ტკბილად მოსაუბრე გეგონებათ იადონი გეჭუკჭუკებაო ისე ტკბილი და მომხიბლავი ხმა აქვს. დარდიმანდი, ენა მახვილი და მეტად სანდომიანი. მომაცილებს ხოლმე მე სახლამდის. შემომხვევს ხელს წელზე, ამომიკოცნის ჟუჟუნა წყლიან თვალებს და ისე კმაყოფილი ნელის ნაბიჯით გაბრუნდება ხოლმე ჯეირანივით. მე უცქერ, სანამ თვალს არ მიეფარება. ტანში ჟრუანტელი დამირბენს ხოლმე შევდივარ სახლში და ჩემს ქმარს პირიქით დაუწყებ საყვედურს და ლანძღვა-გინებას. ამგვარად მიდიან ჩემი დღეები. ძილის შემდეგ კვლავ რომანების კითხვით ვიქარვებ დარდებს, შემდეგ განერვიანებული ქმართან ჩხუბს ვანდომებ რამდენიმე საათს, ხოლო საღამოთი კი კავალერთან ალერსით და სიყვარულით ვატარებ ჩემთვის ტკბილსა და სასიამოვნო წუთებს. ასეთია ჩემი აღსარება. ამით მე ვამტკიცებ, რომ ჩვენ ქალები—მონები კი აღარა ვართ მამაკაცების, არამედ მათი თანასწორი. სრულუფლებიანი მოქალაქე და მომავალი [illegible] მტკიცე საძირკველი და ბურჯი.

**ოდილმადი**

# ტარტაროზი

### ხურამ-ხაშური

უსუფთაობამ დაგვახრჩო
სავსეა ქუჩა ნაგვითა.
მივდივართ, ცხვირზე ხელს ვიჭერთ
და ვსუნთქავთ სიმწრით-დაგვითა.

—:—

კოოპერატივში არშაკა
გინებით აფრთხობს მუშტრებსა;
თუ ვინმემ ენა შეკადრა
მიულერს ბრაზით მუშტებსა.

—:—

აბრამაშვილი ივანე
გაზეთში იყო „ქებული".
პირადი სარგებლობისთვის
კაცია თავდადებული.

—:—

ალმასკომში კ. ენუქას
მუდამ აქვს რახა-რუხია.
ორი დღე უნდა უცადო,
რომ მოგცეს მან პასუხია.

—:—

ალმასკომისა კულტ-ბაღში
მებაღეთ ორი ცხენია.
მთლად ყველაფერი გადაჰხრეს,
მაგრამ არავის სცხვენია.
**ტარტაროზ, ეხლა გვჭირია**
შენი ჩანგალი, კეტია.
**ხაშურში ფოსტის უფროსი**
გახსოვდეს პეტრე გეთია.

**ლილიპუტი.**

### სამტრედია

ყური მათხოვე, მკითხველო,
უნდა დავწერო ლექსია!
საწყალი ბიჭი განლავარ
და მაინც თავზე მესხმიან.
ღამე სიზმარი მაწვალებს
და დღე ცხოვრების ყურება!
ვის უთხრა, ან ვის გავანდო
მე ჩემი უბედურება?!
არვის ვაწუხებ. დავდივარ
როგორც ლანდი და ღრუბელი
მზე ჩემთვის აღარ ანათებს
და მთვარე დასაღუპველი.
ვზივარ, ფიქრები მაწუხებს.
ძახილი მესმის შორიდან:
**ჰაგნელო ბზიკო**, ნუ სდუმხარ,
ლექსის წერის დრო მოვიდა..

**ქალაქის საავადმყოფო**
სულს ლაფავს სიბინძურეში
მზრუნველი ხელი არა სჩანს
**არც მზეში, არცა ღამეში.**
ოდეს ღრუბელმა რვა ივლის
[illegible]ისლებით გა[illegible]
და გაუჩინა ქვეყანას
წუხილი, გულის იარა,—
სწორედ იმ ჟამად შენობას
ესტუმრა **ქალი ზებია!**
(მას შემდეგ რაღაც დუმილით
ბაღში ხეები ხმებიან).
გვარი რად გინდა იმისა,
რად გვინდა მისი ხსენება!
**ქეთოს, ქეთუშას, ქეთუნა!**
ალბად ეს მოეხსენება.

:

**მდივანი მიხა** სადგურის
ამომავალი მთვარეა;
მაღლა ქეიფობს ბიჭებით.
და ძირს წვიმა და ქარია.
**გველესიანი** ექიმი
სამტრედიისა „სიძეა"!
და სამტრედია ქალაქი,
სულ სხვაა, ჩემო ბიძია!
**გრიშას** შეხარის და ლოთობს
(და ლოთობს როგორც წესია
როგორც წესია **მიხასთან**
მღერის ქალაქის ლექსია.
ლექსი დარჩება ჩვენს გულში
როგორც **მიხაკოს** სადგური!
**მიხას** წაიყვანს ცხოვრება,
**გრიშას**—კუბო და აგური.
**ჯაშთან** გავაბათ ბაწარი,
ბაწარი სიმსხო მკლავისა!
მკლავზე მიუძღვნათ ტრაური.
ტრაური ფერი შავისა.
შავი, ნიშანი სიშავის,
**ილიას** მედიცინისა!
**ჯაშების** სადარაჯოზე,
„გალობა" გვესმის დ[illegible]ისა.
დილა თენდება, შენდება.
მწუხარებს სამი ფიცარი!
ფიცარი სამგლოვიარო,
გლოვით რომ ასე ფიცანით.
რხევა მჭირდება ქალწულის.
ქალწოლი მოსწონს **ჩარკვიანს!**
მთა-ბარად ეძებს, ვერ ჰპოვა.
რაღაც რომ ტუზი აკლია.
ჩვენი **ჟურნალი** ვრცელდება
და ეს **ჟურნალი** არ უყვარს!
ექიმო, კარგი იქნება,
თუ კი არ ივლით სულ უკან.
ვფიცავარ ნამუსს (თუ კი მაქვს)
**ზოლმამ მოიმკლა გულია!**
[illegible]ღერიან „[illegible] ბიჭები",
([illegible]-თამაშით უვლიან.
რომ არ დავღალო მკითხველი,
საქმე ვქნა დიდი კეთილი—
[illegible]ჯობს აქ შევსწყვიტო ხმაური:
რიტმით, რითმით და წირტილით.

**ჰაგნელი ბზიკო"!**

### დიდი-ჯიხაიში

აქ შინაურ საქონლებს
დაემართათ ჭირია,
და გლეხები იძახიან:
— ჩვენ ექიმი გვჭირია.
ალმასკომში მივდენ,
ატყდა აურ-ზაური.
ტელეფონმაც წაიღო
რამდენიმე შაური...
და ექიმსა აცნობეს
ესე უბედურება.
დაბრუნდენ და დაუწყეს
ლოდინი და ყურება.
(ეს ექიმი, იცნობდეთ,
მეძმარიაშვილია).
უცდიან და არ მოდის,—
ყველა მოწყენილია.
მესამე დღეს მობრძანდა
(მოეხადა ძილი)..
მაგრამ საქონლები კი
ყველა დაწყვეტილია.
სთქვა:—მე მჯერა ეხენ
დახოცილა ჭირითა.
და დასწერა „რეცეპტი"
მათი დაწვა კირითა.
ალბად უნდა უვადო
შევბულება ექიმსა!
და ამაზე, მგონია,
უარი მას არ ეთქმისა.

[illegible]

## შემოქმედი

...ა ყიდვასა ვაპირებ,
...ერთო, მიმართე ხელიო.
ფულის მოგება მწადია,
ჯიბეც არა მაქვს თხელიო.
ექვთიმე ტყვილად ნუ ლამობს.
აქა ვარ ძველი მგელიო.
(გამოდი თუ შეგიძლია,
მე საჭიდაოთ გელიო)!
„გზა ნაგზურს,—წყალი ნაწყლურსა“
თქმულება ძველის-ძველია...
ნიკიფორესაც დავიხმარ,—
არის ნამდვილი მელია.
საქმე არ უყვარს, ზარმაცობს,
სულ ლოლავს წარა-მარაო,—
მაგრამ კი დაფაცურდება
თუ დავანახვე ფარაო.
ექვთიმემ შემოუთვალა:
— ამდენი კვეხნა კმარაო,
სჯობია თხილის ყიდვაზე
ხელი აილო ჩქარაო.
წონაში ყველას ატყუებ,
ვინაც კი მოგიტანაო.
მაგ საქმესა სჯობს—წახვი...
დაამუშაოთ ყანაო.
თორემ გვიანლა ...ქნება
თავის და კინჩხის ფხანაო.
რატომ ვერ მიხვდი ამდენხანს.
რომ დადგა დღეს სხვა ხანაო!?

**ლიმპლიპიტო.**

## საგარეჯოს თეატრში

სურ. შმერლინგის



მოკარნახე (მთვრალ მსახიობებს): დაიქცეს თქვენი ოჯახი... გამოიღვიძეთ, წარმოდგენა იწყება..

## ფოტინე და ფოსინე

**ფოს.** რა ქენი, ცავ, ყაჭმა ჩაგახალიათა?

**ფოტ.** უი, უი, ნუ გამახსენებ შენი ჭირიმე... შენსას კაი ყოლიფერი და, სულ თლათ მეინდულრა და მოკვინცვილდა ვინცხა ქუთათელაძეა, ამისანა კაკალის გარჩევაზე.

**ფოს.** ერთი ქუთათელაძე გაძაგრესო კაკლებში რომ ფარშიობდა; ყოველ წელიწადს, რომ გვითხრიდა თურმე და აგი კიდო ვინლა ყოფილა?!

**ფოტ.** ...გ... მისი ძმაი ქუთათელაძე არის, მისი ქუთუთო ამოჭამა მიწამ ადრე.

**ფოს.** შენ თუ გიკეთდა, დაიავ, მაინც?

**ფოტ.** რაცხა გულო, მარა კეთება მაინც არ ქვია... შარშან ხვანჯრიანის მქონდა და წამიხვდა: წროულს ჯაოზიას ვარჩევიე, წითელი კოლოფი მითხრა; მევიტანე თუ არა, მოსე ხუცეს გავახსნიე და ვაშინჯვე. ვაკვტი, ველიე, ნაკაზევი ხეზე შევაფრიწე, ქუხილის კი ულოცე და ნათვალის. დეიზარდა რუმბა-რუმბა; გევხედავდი: ამინუტში რომ მიჭოპნიდა ცახის კატარში, მუუვიდოდა გულზე და კოტ...იალით მოკინძისთაობდა ... ბლა მარა რავარც იყო, ერთი ფუთი ამოვლლიტი მაინც.

**ფოსინე.** ოჯო, წალდი ხომ არ ჩამოგიგდია მაღლიდან?

**ფოტინე.** რა შუაშია! არა, დაო, აბა ვისას კეთდა ჩაუკლებლად? წროუნდლისანაი მაინც კაცს არ მოსწრია.

**ფოტ.** იგი მაინც თუ გაყიდე ...ას ფასში?

**ფოს.** იგი კი, დაო, მარა რაი!ყველაი დათითული ვიყავით დედის ხორცაა, რაცხა ციცას ჩავაფარე, კაცს მივაწებე, პაწეი ვალი მქონდა და მე ქე დავრჩი ასე. წინ და უკან ხელს ვიფარებ.

**ფოტ.** უი, გულო, სულ კი მკეთებოდა; თვარა ვინ ჩიოდა! ვიყო ასე საფარიზო შიშველი. თუ არაკაცი აფერს შემიკერავს, მიმზირონ... მშვდობით. დაო და როის მქონდა ბედი.

**შხანკოლა.**

## ლიხაური (გურია)

**ემდურის** გასულ წელიწადს
ზოგ-ზოგი მოსახლეობა:
—ღვინო ნაკლები მოვიდა,
მეჩხრობს ქეიფი, ღრეობა.

მაგრამ ზოგიერთ ყმაწვილებს,
ხოში რომ აუცხადდესა,—
სად გინდა რომ ვერ იშოვნოს
ნოეს ცრემლები—ადესა!
ხშირად ეფინა მოედანს
ახალგაზრდათა გუნდები
ნაღვინევ-ნაზარხოშები,
ზარზაცით, მოხრილ კუნთებით.

ჩხუბი, თან ქვების ტრიალი
და მკლავში ხელის ტანება.
ერთხელ თუ ორხელ, არ ვიცი,
კიდეც იელვეს დანებმა.

მაინც რა ფინთი კაცია
ეს თავმჯდომარე ალიო!?
დასძახა საბჭოს სახელით:
**ჯეა'.ზე არ ვნახო მთვარლიო.**
**თუ დათვრეთ, ღმერთი გაგიწყრეთ,**
**მალე მონახეთ შინაო“.**
ამ სახით „მოვარჯიშენი“
სულ ყველა დაგვიშინაო.
**„ვის უნახავსო ღვინის სმით,**
**სარგებლობაო, ხეირი“...**
ასე მოგვაკლო, ტარტაროზ;
თვალის გართობა სეირი.

**ათანასი.**

## სუფსის ამბები

ეს ჩვენი დაბა-სოფელი
გაივსო ვაჭარ-ჩარჩებით.
ხალხს ეშინია და ამბობს:
მათგან ჩვენ ვერ გადვრჩებით.
მაგრამ... სტირიან ჩარჩები:
—დაგვედვა ზევრი ვალები.
აქ „ეპო“-ს გაძლიერებამ
მთლად დაგვიყენა თვალები.
რომ აღარ არის იმედიც!
მწარეა ჩვენი ყოფაო.
ჩვენი დღიური ნავაჭრი
ნალოგებს არ ეყოფაო.
**ეხლახან** უფრო გამრავლდენ
სირაჯ-მიკიტან ძველები,
მოქნილი ენის პატრონნი,
პურ-ღვინის გამყიდველები.
ბათლომე, ესე, სამსონი
ეხლა აწყობენ დიდ ომსა.
პროტესტის ნოტას უმზადებ!
ჩვენი შალიკო პრიდომსა.
**არონ დოლიძეს** ქალებმა
მიართვეს ნოტა ძლიერი:
—როგორი თესლი მოგვეცით?
რატომ დაგვყარეთ მშიერი?
არონმა უთხრა:—დაიავ,
რას მეუბნებით თქვენაო?
პარკის მოსავალს ებარა
ჩემი ცოლ-შვილის რჩენაო!

**ბლიკვაძე.**

# ~~სახკინმრეწვი~~ გერგოკინმრეწვი

სურ. შმერლინგის



მირბის მიქროლევას აღმა-დაღმა ეს სახკინმრეწვი,
ის სულ ჩემია, ამ საქმეში არც ერთი ბეწვი
არვის ეკუთვნის... მაშ გასწი კინოვ და წამიყვანე;
მუდამ გახსოვდეს, შენი ღმერთი ვარ მე—**გერმანე.**

მოსკოვ-პარიზში ჩემს ჭენებას არ აქვს საზღვარი;
თუმც ჩვენს ფილმებზე ყველგან გვითხრეს ცივ-ცივი ვარი,
მაგრამ ნუ დარდობ. ნუ გადმოჰყრი შენ ცრემლის ღვარსა,
და ფული მომეც მე ფულებით გაუმაძღარსა

მომეც ქანქარი, აილე ვალი
და მაგრძნობინე ცხოვრების დღეი.
„მერსედესი“ მყავს მე სწრაფ-მავალი.
გადამატარა კლდენი და ღრენი.

„ნუ შემიბრალებ **„დაქანცულობით“**
**თავგანწირულსა** შენსა **მხედარსა.**
არ დაგიმალავ—მე შენ გიცქერი,
როგორც მეწველ ფურს და სახედარსა.

პერესტიანის „სავურ-საფლავში“
გზას გამინათებს ბარსკის „შუქურა“;
„მეცხრე ზვირთი“ კი დაჰბერავს ნავში,
როგორც „მჭედელი მიქავა“-ს ქურა.

გასწი... მაგრამ, ო,—რაღა გასწიო:
ძლივს-ღა მიხოხავ შენ უგზო-უკვლოთ.

არა, არ მითხრა:—ბატონო ჩემო,
ცოტა **თოხარიკს** უნდა **დაუკლოთ**

ვერ შემაშინებს მე რევიზია;
(როცა მოვიდა, რა ა[illegible]ა!?)
„თუ კი აქამდი მას არ ემონა,
არც აწ ემონოს შენი“ გერმანე.

დაე, აყენონ ჩემს შესახებ ბული და მტვერი!
„ვერ შემაშინოს მისმა ბასრმა მოსისხლე მტერი!“
ოცნება ჩემი უსაზღვროა... გასწი... ჰაბარდა.
ნუ თუ ვერ ხედავ—სახკინმრეწვი მთლად მე ჩამბარდა?!

„ცუდათ ხომ მაინც არა ჩაივლის“
ასე ამაოდ „ფულის კეთება“?
ჩვენგან თელილსა სალაროს ჰქონდეს
მე და რეჟისორთ რაც გადაგვრჩება.

„და ჩემს შემდგომად მოძმესა ჩემს-
სიძნელე გზისა“ არ გაუჭირდეს,
„და შეუპოვრად“ გალმა ედავოს
გამოღმა ვინმე თუ აუხირდეს.

**გერგოკინმრეწვი** სახელია აწ სახკინმრეწვის.
**ის მე შევქმენი (!)** ჩემებრ გული მასზე ვის ეწვის?!?
ოცნება ჩემი ფრთიანია... გასწი... ჰაბარდა.::
ნუ თუ ვერ ხედავ—სახკინმრეწვი მთლად მე ჩამბარდა?!

**ენუქი.**

# ცნობათა მიღება



**კვანტს:** მარილი აკლია: პირპილი ბევრი აქვს.

**სიზმარას:** ჩვენი პასუხი იგივეა, რაც უწინ იყო. წერილის თემას მოვიხმართ სურათისათვის.

თქვენს „თხოვნა"-ში ერთ ალაგას ასე სწერთ:

**„უნდა გამოგიტყდეთ: მერვე ჯგუფიდან მეცხრეში გადაველი, მაგრამ ნიშნების წერა არ ვიცი... რა ვქნა! ჩვენთვის არავის უსწავლებია..: ჩვემა მასწავლებელმა, რომელსაც, როგორც თვითონ ამბობს, უნივერსიტეტი გაუთავებია, — არ იცის სასვენ ნიშნების ხმარება და დაფასთან დგომა".**

ჰოდა ამიტომ ჩვენი გულწრფელი რჩევა იქნება: ჯერ ჯერობით თავი გაანებეთ პოეტობას, რომელსაც სჯობია გრამატიკის შესწავლა.

**ტარტაროზის ძმის შვილს** (ხიდისთავი, გურია): გვიგზავნით ამ სურათს და გვთხოვთ იგი მოვათავსოთ ჟურნალში.



აქ გასაკვირალი არაფერი არ არის ჩვენთვის. პროტფელიანი ძაღლი კი არა, ჩვენ ისეთი კაციც გვინახავს, რომელიც ასეთ ლექს სწერდა:

**გალავინსკზე მივდიოდი**
**ესეც კი დავინახე.**
**ძაღლი პორტფელს მიათრევდა**
**თვით მე ვნახე დავინახე,—**

და თავისი თავი პოეტად მიაჩნდა. (რას ნიშნავს აზრის თავისუფლება!?)

**შავ-შეწ-ვლად-ვენს** (ქუთაისი): მოგვასვენეთ რა! რა დაგვიშავებია თქვენთვის? ან და რა დაგიშავათ თქვენმა საწყალმა თავმა, რომლის ტვინს ასე აწუხებთ! ნუ თუ ისე დიდი სიცხეებია, ქუთაისში, რომ ადამიანის ტვინზე გავლენას ახდენს?! აკი გიპასუხეთ ერთჯერ!? მეტი რა საჭიროა?

**სოკანეს** (ხიდის-თავი): ბევრი უწამლეთ ამ თქვენს წერილს. მაგრამ თქვენი ექიმის მიერ გამოწერილი და თქვენს აფთიაქში დამზადებული წამალი ჰქონებია მიღებული, ე. ი. მოწამლულა საწყალი. სულის ამოხდის დროს იმათი სახელი წამოიძახა.

აი, მისი ამონაკვნესი:

**ო, აფთიაქო, ბევრი**
**იმსხვერპლე შენ საწყალი:**
**შენი წამალი არის**
**ადუღებული წყალი.**

—:—

**იქნებ ექიმს დაეძებთ,—**
**თქვენ ხართ „მალერიანი"!**
**მიდით სამიკიტნოში,—**
**იქ არის ვალერიანი.**

(განუსვენა საწყალმა, მაგრამ სიკვდილისას შემოდგომის ბუზივით მწარედ უკბინა თავის მტრებს).

**შანციან-იშვილს:** გრძელია, მარტივი შინაარსი მეტად გაქიანურებულია, რითმები კოჭლია; ყველა ამის გამო ჩვენ იგი შევვეცოდა და ვინახავთ ერთი კვირის განმავლობაში. შეგიძლიათ წაიღოთ.

**ჰაჯანს** (გორი): ჩვენ არ გვწამს სასწაული, მაგრამ აქ კი რაღაც ანისებური მოხდა.

მოიგონეთ თქვენს ლექსიდან ეს ადგილი:

**ზნაჩიტ! კისერი ისე წვრილი გაქვს,**
**რომ ჩაგივარდა კოვზი ნაცარში...**

როცა ეს სტრიქონები წავიკითხეთ, თქვენი ლექსი ხელიდან გაგვისხლტა და (სად ჩავარდებოდა კი მიხდვდებით). ასე სთქვა: — კოვზი თუ ნაცარში ჩავარდა,—მე რომ გოდორში ჩავარდე, ხომ უკეთესია ჟურნალისათვისო! (კარგადაც მოქცეულა).

**სილ. ბახველს:** ესენი არ გამოგვადგა. კიდევ სინჯეთ. განყენებულ საკითხებს ნუ შეეხებით. ყოველდღიურ ცხოვრების პროგრამიდან ამოიღეთ თემები.

**კოლაი-მელას:** ეს გურული სცენა კი არა, მთელი მსოფლიოს სცენაა. ჩვენი ჟურნალი თექვსმეტი გვერდია, და ეს თექვსმეტი გვერდი ვერ დაიტევდა თქვენს სცენას. ამიტომ იგი უფრო დიდ ფართობში მოვათავსეთ.

**ხტაფილოს** (ლაგოდეხი): ეპოს გამგეობის წევრზე — ვანო ზახაროვზე გვწერთ:

**არ სცალია საქმისთვის—**
**თამაშშია გართული.**
**ეს ხელობა იმისთვის**
**მარტივია, არ-რთული.**

ჰა, დავბეჭდეთ, მაგრამ, ჩვენ გვგონია: ამაოა მგლის თავზე სახარების კითხვა.

**„ისკიაპირელს":** სჯობდა მართლაც დაგეცვათ რეჟიმ - ეკონომია, რითაც რვა კაპიკი (მარკის ფასი) გადაგირჩებოდათ.

**მალაქიას** (ბარგლისი) არაფერი უბედურება არ არის ზინამ თუ:

**ჩვენი ვალიკო მაღრაძე**
**გაგვილანძღა, შეარცხვინა.**
**ცალი ულვაში მოკნაჭა,**
**როცა სახლში დააძინა.**
**ვალიკომ რომ გაიღვიძა,**
**უთხრა ზინას:—რა მქენიო?**
**სახლში ცოლთან ველარ მივალ,—**
**შენ გაგიწყრეს გამჩენიო!**
**ზინამ უთხრა:—მეც ეს მინდა**
**რომ შენ გახდე ჩემი ქმარი.**
**მილალატებ,—მაშინ ნახავ**
**რომ ჯადიჭო ცხვირში ძმარი.**
**მაგრამ ხერხი მოიგონა:**
**მან მეორეც მოიკნაჯა.**
**სახლში ახალ ნათხოვ ქალთან**
**გაიღიმა, გაიპრანჭა,**
**უთხრა: — ჩემო დედოფალო,**
**ასე უფრო მშვენიაო.**
**თანამედროვე კაცი ვარ,**
**არაფრის არ მცხვენიაო.**

**ვარდენ ლვანკითელს:** ეს შარადა შარშანწინ გამოგზავნეთ, მაგრამ არ დავბეჭდეთ, როცა შარადაში ამ ადგილს მიუახლოვდით:

**მხოლოდ სულ არა, ანბანი**
**მას წინიდან ორი,**
**მე მომეცით დანარჩენი**
**გაისროლეთ შორი,—**

ასეც მოვიქეცით: გავისროლეთ და მთელი შარადაც მას გაჰყვა. (არაფერი გესიამოვნოს ჩვენგან!). ნეკროლოგს არ ვბეჭდავთ ჟურნალში.

**უბედოს:** (მართლაც უბედო ყოფილხარ!) არ დაიბეჭდება.

**გრ. არეულს:** არ წავა (ჟურნალში). ორივე გვერდზე წერა, რეჟიმ-ეკონომია ხომ არის!

**რენოს** (საგარეჯო): თუ კი ეპოს გამგეობა „ასეთია", ოთხი წლის განმავლობაში რატომ ზედიზედ ირჩევენ? არ ვიცით ვინ ცდება: მთელი საგარეჯოს საზოგადოება, თუ თქვენ?

**არშაკას:** მეტი რა გინდათ! შრომა განაწილებული ყოფილა, თუ კი:

**მუხანათობა მხდალია!**
**მაშ ეს რა არის, თუ არა**
**ჩემს ცოლსა სხვები ჰყვარობენ,**
**რჩენა კი ჩემი ვალია.**

(ზოგიერთ ცოლის სიყვარულს, მისი რჩენა სჯობია).

**ლეჟავას:** ნიორის სუნს რომ ჟურნალის ატმოსფერა არ წაეხდინა, ამიტომ თქვენი წერილი საჭიროთ ვსცანით სხვა ალაგას მოგვეთავსებინა.

**ბლიოხ - ნელის** (ჩოხატაური): თქვენს ლექსში ერთ ალაგას ასე სწერთ:

**ეხლა, ძამია ტარტაროზ,**
**მოვინახულოთ აპატი.**
**დღეს ბანკის დირექტორია,**
**საჭმელად უყვარს კუპატი.**

ამნაირ წერილების ჭამა, ჩვენს უფსკერო გოდორსაც უყვარს.

**იტი-იტი-იზუამს:** ჩვენ ვერ გავარკვიეთ და ექსპერტებს გადავუგზავნეთ, იეროგლიფებით დაწერილი მასალა არ განიხილება.

**ელიზოს:** თქვენი წერილი იმდენად გრძელია, რომ იგი ჩვენს უფსკერო გოდორსაც კი ამოავსებდა. რა თქმა უნდა—ეს გაუხარდებოდა სხვა ავტორებს, მაგრამ ვერ მივართვით ბადრიჯანი. ასე იწყებთ ცალკე სათაურებს:

**„აქ ამბავი გაკოტრებისა და (ვერ გავარკვიეთ). აქა ამბავი კურორტზე ყოფნისა"..**

და აქა ამბავი—თქვენი წერილის გოდორში წასვლისა.

**ხ. ზენიტელს** (ზემოხეთი): ერთ ალაგას კოოპერატივის შესახებ ასე სწერთ:

**კოოპერატივი გაქურდეს,**
**შიგ ფართალია ალარა;**
**აწის შემსწრე ჩვენს ნოქარს**
**თმა შექნა ჭაღარა...**

ეს შესაძლებელია — მწუხარება კაცს უდროოდ აბერებს... მაგრამ ის კი არ გვეგონა, თუ ესეთი [illegible]. ამავე ნოქარზე ისე იმოქმედებდა, რომ.

**ადგილიდან ველარ იძვრის,**
**გაგვიხუქდა მეტადა...**

რაღაც არ გვჯერა ეს ამბავი, რადგ[illegible]ნია: „რკინას ჟანგი სჭამს, და კაცის გულს—დარდით. (ხომ არ ცდებით,—ეგებ თქვენი ნოქარი კოოპერატივის გაქურდვას კი არ დარდობს, — პირიქით...)

**კანჭარაკუნას:** თქვენი: **„ან არ ვიზამ"** და **„ჭკუა ვისწავლე"** ერთი და იგივე შინაარსისაა.

**მთელი ღამე ვუცადე,**
**არ მოვიდა ის ქალი.**
**ხმას რომ გავიგონებდი,**
**გულს გაჰქონდა კანკალი**
**ვუყურყუტე მე დიდხანს,**
**მაგრამ შენ არ მომიკვდე.**
**ბოლოს ძილმა მაჯობა,**
**და მე იქვე მივეგდე.**
**იგი იწვა თვის ქმართან;**
**(დავავიწყდი მე ალბად)**
**ხიყვარული მე მისი**
**დამიმჟავდა და დალბა.**
**ეხლა ჭკუა ვისწავლე,**
**აწი ასე არ ვიზამ.**
**არ წავალ, თუ არ მომცა**
**პირობა და ან ვიზა.**

თუ **ჭკუა ისწავლე, აწი ნუ იზამთ** ასეთ საქმეს; ე. ი. ასეთი წერილების წერას და გამოგზავნას, თორემ იცოდეთ (გაფრთხილებთ) თქვენს წერილებს გოდორში გასაგზავნად ვიზა არ დასჭირდება.

# კონკურსი № 5

ნახეთ სურათი პირველ გვერდზე, გამოუგონეთ მას შესაფერისი წარწერა. წარწერა უნდა იყოს მოკლე და სურათის სიუჟეტის დამახასიათებელი.

კონკურსში მონაწილეობის მიღება შეუძლია ყველას, გარდა რედაქციის თანამშრომლების და მათი ოჯახის წევრებისა.

დაჯილდოებული იქნება ორი წარწერა: პირველი 30 მანეთით; მეორე—20 მანეთით. ამის გარდა გამოცხადებული იქნება აგრეთვე ხუთი კარგი წარწერის ავტორი.

კონკურსის შედეგები გამოცხადდება „ტარტაროზი"-ს № 114-ში რომ ამით (ხანგრძლივი ვადით) საშუალება მიეცეს ჩვენს მრავალრიცხოვან მკითხველს მონაწილეობა მიიღონ კონკურსში.

ამოსჭერით აქვე დართული ტალონი, შეავსეთ იგი და გამოაგზავნეთ.

სხვა ქაღალდზე დაწერილი არ მიიღება.

კონკურსის შედეგების გამოცხადებისთანავე დაჯილდოებულ წარწერის ავტორები მიიღებენ პრემიას.

მისამართი: ტფილისი

ჟურ. „ტარტაროზი" კონკურსისათვის.

სურათის სათაური . . . . . . . . . . . . . . .

სურათის წარწერა

. . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . .

. . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . .

. . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . .

გვარი, სახელი და მამის სახელი

. . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . .

სწორი მისამართი

. . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . .

ხელობა (პროფესია) . . . . . . . . . . . . . . .

# გათვალისწინება

სურ. ლონის



სად მოგაქვს, დედიჯან, ეს კუბო? აქ ამბულატორია არის!

— მეც იმიტომ მომაქვს, შვილებო!.., ამდენ რიგს და დავიდარაბას ავადმყოფი და მოხუცებული კი არა, კარგადმყოფი და ჯეელი ვერ გაუძლებს. მზად რომ მექნება, ის არ სჯობია მერმე ქალაქში კუბოსათვის სირბილს?!

ამახკომის 1-ლი სტამბა, კამოს ქ. № 68.